საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკური სიფცვაა, ტყვიებით და ჯიბრებით ბუტოის გაფანა ყველა უკანონობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 14 იანვარი. 2020 წ. №5 (8931) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

დეპრესიული რეგიონი

„მთვრალი მოლები“ ③

საზოგადოებას სურს ტყუილის, იდიოტიზმის და მარაზმის მოსმენა.

საზოგადოებას სურს მაქარაშვილი.

საზოგადოებას სურს კესარია.

საზოგადოებას სურს ცხვრების მირეკვა პარლამენტთან.

საზოგადოებას სურს შალვა ნათელაშვილი.

საზოგადოებას სურს იცოდეს, მოწია თუ არა სიგარეტი მავანმა „ვარსკვლავმა“.

საზოგადოებას სურს „მთავარი არხი“ და „ფორმულა“.

საზოგადოებას სურს გირჩი ჯაფარას პერფორმანსები...

14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა



„14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა. საქართველოს დროშა ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა. საქართველოს სახელმწიფო დროშა საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს, მისი მხატვრულ-შინაარსობრივი მხარე თეთრ ველზე გამოსახული ხუთი ჯვარი სამყაროს ოთხი მიმართულებით მისი ღირებულებების გავრცელების სურვილს და მისწრაფებას გადმოსცემს.

საქართველოს დროშით იყო აღნიშნული ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სახელმწიფო, რომელიც საკუთარ სიმბოლოდ აღმართავდა ხუთჯვრიან დროშას. დღეს ჯვარი სეკულარული სიმბოლოა, მაგრამ თანამედროვე ღირებულებების გავრცელების და აღიარების ამბიცია რთულ რეგიონში კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოების მაპროფილებელ ნიშნად.

საქართველოს სახელმწიფო დროშა დიდი სიამაყით და პასუხისმგებლობით განმსჭვალავს თითოეულ მოქალაქეს და შესაბამისად ღირსი პატივით მოპყრობასა და გამოფენას ავალდებულებს. გილოცავთ საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს!“, — აღნიშნულია ჰერალდიკის საბჭოს განცხადებაში.

აკაკი ბაქრაძე: არ მჭირდებოდა გამსახურდიას, არც იოსელიანის, მით უმეტეს, არც ქვანიას დახმარება

ამირან სალუქვაძე: ⑧ ტრამპმა სილა გაუტარა, მეორე ლოყა არ მიუშვერია

სამების საკათედრო ტაძარში 62-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართება

დღეს სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა საყოველთაო ნათლობა გაიმართება. საპატრიარქოს ინფორმაციით, დღეს 500-ზე მეტი ბავშვი მოინათლება. ნათლობა დღის მეორე ნახევარში, დაიწყება.

20:00 საათისთვის სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი ილია მეორე მიბრძანდება და ნათლულებს დალოცავს. საყოველთაო ნათლობა 62-ედ იმართება. პატრიარქს 40 388 ნათლული ჰყავს.

გვიმრავლოს!

დაუდგრომელი და ბობოქარი... ⑤ შალვა მგალობლიშვილი

გილოცავთ ძველით ახალ წელს!

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა გადადგა!

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ თანამდებობა დატოვა. რუსული მედიის ინფორმაციით, მისი გადადგომის შესახებ განცხადება ექსპრემიერმა სერგეი შამბამ წაიკითხა. ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 22 მარტს გაიმართება.

ვითარება სოხუმში მას შემდეგ დაიძაბა, რაც არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციამ ადმინისტრაციის შენობაზე შტურმი მიიტანა. მასთან მოსალაპარაკებლად მისულ ე.წ. დეპუტატებს კი ხაჯიმბამ განუცხადა, რომ თანამდებობიდან წასვლისთვის მზად არ არის. მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გააუქმა, ხაჯიმბამ კი თქვა, რომ ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა რაულ ხაჯიმბას გადადგომას მხარი დაუჭირა.

ოკუპირებულ აფხაზეთში თანამდებობას ტოვებს ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი ასლან ბარციციც. რაულ ხაჯიმბა ე.წ. არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვალერი ბგანბა დაინიშნა.

ირაკლი კობახიძე: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილს შემდეგი მოწვევის პარლამენტი აირჩევს

— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, ამ მოწვევის პარლამენტმა 28-დან 14 მოსამართლე აირჩია.

„ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ გავითვალისწინებდით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ ერთი მოწვევის პარლამენტი არ დააკომპლექტებდა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს. მოგეხსენებათ, ამ მოწვევის პარლამენტმა 28 -დან 14 მოსამართლე აირჩია. შესაბამისად, შემდეგი მოწვევის პარლამენტი აირჩევს სხვა მოსამართლეებს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, დეტალურად გაეცნო ეუთოს დასკვნას, რომელშიც უხეში ტექნიკური, ფაქტობრივი და შინაარსობრივი ხარვეზებია.

„ჩვენ კომუნიკაცია გვექნება საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა პრევენციული ეფექტი ჰქონდეს ამ თანამშრომლობას. არ შეიძლება, ასეთი ხარვეზებით იყოს დატვირთული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული დასკვნა. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოში ისრაელს ახალი ელჩი ჰყავს

საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ელჩმა რან გიდორმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დავით ზალკალიანს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა.

ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა ელჩს მიულოცა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნა და სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და ისრაელს შორის ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე და განიხილეს შემდგომი პარტნიორობის პერსპექტივები.

მათივე ცნობით, ხაზი გაესვა კავშირების მეტად გაღრმავების მნიშვნელობას სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით და აღინიშნა მაღალი დონის ვიზიტების ურთიერთგაცვლის მნიშვნელობა. ელჩმა განაცხადა, რომ თავის მხრივ, არ დაიშურებს ძალისხმევას ორ ქვეყანას შორის მეგობრული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განმტკიცებისთვის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შაბთაი ცურმას უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. მან საქართველოში 8 წელი იმუშავა.

გიორგი ქობულია პოლიტიკას უბრუნდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია, რომელიც ასევე ყოფილმა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ თანამდებობიდან ისე გადააყენა, რომ საზოგადოებამ ამ საკადრო ცვლილების მიზეზი ვერ გაიგო, პოლიტიკაში მიდის. ყოფილი მინისტრი „2020NEWS“-თან საუბარში ადასტურებს, რომ ქართულ პოლიტიკაში შემოდის, თუმცა პოლიტიკური სტარტის თარიღს ვერ აკონკრეტებს.

„გადაწყვეტილი მაქვს, რომ პოლიტიკაში შემოვიდე, მაგრამ ამ მომენტში პაუზას ვიღებ. პაუზა რამდენ ხანს გაგრძელდება, ეს სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ იმ კონფიგურაციას, რომლის მიხედვით მექნება საშუალება, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში შედეგს მივაღწიო. პრინციპულად გადაწყვეტილი მაქვს, რომ პოლიტიკაში შემოვიდე, ოღონდ აქ ლაპარაკია მხოლოდ დროზე. ის გუნდი, რომელიც მინდოდა შემეკრიბა, ვერ შევკრიბე. არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებზეც უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ“, — განაცხადა გიორგი ქობულიამ.

დავით ზალკალიანმა დოლარის საპროგნოზო კურსი სამი ლარის ნიშნულზე განსაზღვრა!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა დოლარის საპროგნოზო კურსი სამი ლარის, ევროს — 3.3 ლარის ნიშნულზე განსაზღვრა.

შესაბამისი ცვლილება მინისტრის ბრძანებაში შევიდა, რომელიც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესს ადგენს.

„საპროგნოზო სავალუტო კურსად განისაზღვროს ერთი აშშ დოლარი — 3.00 ლარი და ერთი ევრო — 3.30 ლარი“, — წერია მინისტრის ბრძანებაში.

წინა ბრძანებაში დოლარის კურსი 2.5 ლარის, ევროსი კი 2.9 ლარის ნიშნულზე იყო განსაზღვრული.

მელორ ვაჩნაძე საფრანგეთის ციხიდან სკანდალურ ვიდეოს ავრცელებს

ყოფილი სამოქალაქო აქტივისტი და „ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერი მელორ ვაჩნაძე საფრანგეთის ციხეში სასჯელს იხდის. სოციალურ ქსელში ვიდეო ვრცელდება, სადაც ვაჩნაძე დეტალურად ყვება, რისთვის დააკავეს სამართალდამცველებმა:

„ბრალად მედება მკვლელობის მცდელობა. ჩემი სახლის მახლობლად, ქალაქ მონპელიეში არის მაღაზია, სადაც მოხდა სროლა. იძახიან, სავარაუდოდ, ქართველები იყვნენო. სამი თვის შემდეგ დამაკავეს მე. დაზარალებული ამბობს, რომ მსროლელი იყო 1.70 სმ სიმაღლისო და მე ვარ 2 მეტრი. ანუ, არ ემთხვევა არაფერი, ასევე აქვთ ვიდეოთვალი მაღაზიაში და შეუძლიათ, გახსნან, მაგრამ მოსამართლე მეუბნება, ვინაიდან აქ ვაქტიურობდი, ჩავატარე აქციები ქართველების მხარდასაჭერი, შეიძლება, დავეხმარო ამ ადამიანებს მიმალვაში, ან მაქვს რაიმე ინფორმაცია და ვმალავ. ამიტომ ვიხდი სასჯელს.



გაუგებარი მოტივია, რამე რომ მცდონოდა, აუცილებლად ვიტყოდი, მაგრამ ნამდვილად არ ვყოფილვარ იქ. ეს არის წნეხი, ჩამსვეს ციხეში და ჰგონიათ, თუ რამე ვიცი, ვიტყვი. საჯაროდ ვამბობ, რომ არაფერი ვიცი. მე არ ვარ მსროლელი და უკანონოდ ვიხდი სასჯელს, ამიტომ საფრანგეთის მხარეს ვთხოვ, გაასაჯაროოს მტკიცებულება. თუ ვარ დამნაშავე, მოვიხდი სასჯელს, მაგრამ თუ არ ვარ, უნდა გამათავისუფლონ. ყველა არასამთავრობოს მოვუწოდებ, მოსთხოვეთ საფრანგეთის საელჩოს საქართველოში, გაასაჯაროოს მტკიცებულება. რისთვის ვიხდი სასჯელს, ჩემთვის გაუგებარია...

პირდაპირ ვადანაშაულებ საფრანგეთის ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში... ძალიან გთხოვთ, პირველად ვთხოვ ქართველ ერს დახმარებას, მთელი ცხოვრება ვეხმარებოდი ყველას, ვინც იყო საპატიმროში და იყო ჩაგრული ხელისუფლებისგან... გთხოვთ, მიმართეთ საფრანგეთის საელჩოს...“

ცნობისთვის, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული მელორ ვაჩნაძე 2012 წლის შემდეგ ქსენოფობ, ულტრანაციონალისტურ ჯგუფებთან, მათ შორის „ქართულ მარშთან“ თანამშრომლობდა. გასულ წელს მან განაცხადა, რომ საქართველოს ტოვებს. მიზეზად პოლიტიკური დევნა დაასახელა.

შსს 20 ივნისის მოვლენებზე მიხეილ სააკაშვილის განცხადებას შეისწავლის

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში გადაცემა „მთავარ აქცენტებში“ გაკეთებულ განცხადებებს შეისწავლის.

შსს-ში განმარტავენ, რომ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდება.

„აღნიშნული განცხადება წარმოადგენს საკმარის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ 2019 წლის 20 ივნისს მიხეილ სააკაშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის აშკარა მცდელობა. ამ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, რის შემდეგაც იგი შეჯერებული იქნება სხვა მტკიცებულებებთან და მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება“ , — აცხადებენ შსს-ში.

„ჩემი აზრით, მომენტი გაშვებულ იქნა. ეს არ იყო ის, რომ ვინმეს შეთქმულება ჰქონდა. უბრალოდ, თავის თავს თავად ამბოხებდა ბიძინა ივანიშვილი. თავისი თავხედობით მოახდინა ხალხის რეაქციის პროვოცირება. ახლა მივხვდით, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს, უკან ნიშნავს საქართველოს განადგურებას. დღეს ოპოზიცია ყველაფრისთვის მზად არის. მე პირადად ვარ მზად, თავი შევწირო ბოლომდე ჩემი სისხლის ბოლო წვეთამდე. წელს საქართველოდან ივანიშვილს გავაცილებთ. ქართველი ხალხი გამოგვყვება უკან, როცა დაინახავს, რომ ლიდერები ბოლომდე წირავენ თავს. ჩვენ გყვავს ლიდერები, მათ შორის თქვენ. ნიკა მელიამ აჩვენა საოცარი გამბედაობის მაგალითები, იგივე ჟორიკა რურუამ აჩვენა ეს მაგალითი. ჩვენ გყვავს ხალხი, ვინც აჩვენებს ამ მაგალითებს“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

20 ივნისს, საღამოს პარლამენტთან მშვიდობიანი აქციის შემდეგ, მომიტინგეების ნაწილმა შენობაში შეჭრა შტურმით სცადა. სპეცრაზმმა აქციის დაშლა დაიწყო და რამდენჯერმე გამოიყენა ცრემლმდენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები. შედეგად საავადმყოფოში გადაიყვანეს 240 ადამიანი, მათგან 80 სამართალდამცველი, 4 ადამიანს თვალი დაუზიანდა, ერთმა მოქალაქემ და ერთმა სამართალდამცველმა კი დაკარგა.

© წაკითხული

ვინა ხარ შენ, ჭიაბერაშვილო?

როგორი ღვარძლით, ბოღმით, სრული არცოდნით აკრიტიკებ წარმატებით განხორციელებულ C ჰეპატიტის პროგრამას, რომლითაც ათასობით ადამიანმა სიცოცხლე შეინარჩუნა?

ვინა ხარ შენ, ჭიაბერაშვილო, ჩამშვებად კარგად ცნობილო, ელჩად, ქალაქის მერად, მინისტრად, გუბერნატორად მიშასგან გამწესებულო და არსად, არასდროს არაფრის გამკეთებელო!!!

ლონდა მდივანი

„მთვრალი მონები“

ხშირად დამიწერია და მითქვამს, რომ საქართველო დეპრესიული რეგიონია. ამ ჩემს მოსაზრებაზე ყოფილა არაერთგვაროვანი მსჯელობა, კამათი, ახსნა. იყო განმარტებები, სადაც მთავარი დარტყმა მედიასაშუალებებისკენ გახლდათ მიმართული, რომელთა მთავარ არგუმენტსაც ე.წ. „სკანდალური“, არაადეკვატური ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების სტრესში ჩაყენება წარმოადგენდა.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მედია არაფერ შუაშია.

დიახ, არაფერ შუაშია და თვით ის პატარა გოგოშკები თუ ბიჭუშკები, რომელთა ხელშიც სხვადასხვა მანქანებით მიკროფონი აღმოჩნდა, ძალიან დიდ და კარგ საქმეს აკეთებენ. საქმეს, რომელსაც საზოგადოების გამოფხიზლება და აზროვნების, შეფასების უნარის რეალურ კალაპოტში ჩაყენება ჰქვია.

ძველი ბერძნები მონებს ათრობდნენ და შემდეგ შვილებს მათ ქცევას აჩვენებდნენ, რათა ბავშვებს სცოდნოდათ, თუ რა შედეგი მოსდევს ზედმეტ სიმთვრალეს.

მედიამ დღეს სწორედაც იმ მონების ფუნქცია შეითავსა და პირდაპირ გვაჩვენებს იმ მოთხოვნას, რაც არა საინფორმაციოების ხელმძღვანელებს, არა ტელე თუ ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების მფლობელებს, არამედ ხალხს, ე.წ. საზოგადოებას აქვს.

საზოგადოებას სურს ტყუილის, იდიოტიზმის და მარაზმის მოსმენა.

საზოგადოებას სურს მაქარაშვილი.

საზოგადოებას სურს კესარია.

საზოგადოებას სურს ცხვრების მირეკვა პარლამენტთან.

საზოგადოებას სურს შალვა ნათელაშვილი.

საზოგადოებას სურს იცოდეს, მოწია თუ არა სიგარეტი მავანმა „ვარსკვლავმა“.

საზოგადოებას სურს „მთავარი არხი“ და „ფორმულა“.

საზოგადოებას სურს გირჩი ჯაფარას პერფორმანსები.

საზოგადოებას სურს... სურს... სურს...

და სანამ ის ხალხი, ვისაც ეს „სურს“, მოსახლეობის უმრავლესობაში არიან, აქ არც საზოგადოება იქნება და ქვეყანა მუდამ დეპრესიული რეგიონის ერთ-ერთ ფლაგმანად დარჩება

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ამონარიდები სააკაშვილის ბოლო ჩართვიდან — „მე ვიცი, რომ ჩემი ხალხი არის უკიდურესად გაჭირვებული, შიმშილობს, ბოლომდე განადგურებულია. ხალხი მასობრივად ტოვებს ჩვენს ქვეყანას.საქართველოს გენეტიკური კოდი ნადგურდება, იმიტომ, რომ ახალგაზრდობა გადის, ქალები გადიან, კაცები გადიან, ოჯახები ბოლოდე ნადგურდება, ახალი ბავშვები აღარ ჩნდებიან.

ყველა დიდი პროექტი გაჩერებულია. ჩვენი დიდი ამბიციიდან დარჩა ნანგრევები. ამ ყველაფერს ვუყურებ და გული მისკდება... „თავ-ბედს ვიწყევლი ახლა, რომ გავაკეთე, თავ-ბედს ვიწყევლი.“

ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მთავარ გმირს, საყვარელმა გოგონამ ხელის ნაცვლად „ყური სთხოვა“.

მოძრაობა „შეცვალე“ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან აქციას მართავს.

აქციის მონაწილეები საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ და ივანიშვილის ქონების დაყადაღებას ითხოვენ.

„ეს ოლიგარქი, რომელიც გადააჯდა მთლიანად საქართველოს, დროულად უნდა იქნეს მისი ქონება დაყადაღებული. ჩვენ ვიცით, რომ ის არის ერთ-ერთი კანდიდატი „შავ სიაში“ შეყვანის, მაგრამ ეს უნდა დაჩქარდეს. აუცილებელია მისი ქონების დაყადაღება. ერთადერთი იარაღია, რაც აიძულებს გაჩერდეს “, — ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

შალვა ნათელაშვილი: 2020 წელი ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის პოლიტიკურ ჯოჯოხეთში გასტუმრების ეტაპი იქნება — „2020 წელი იქნება ჟამი ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების. 2020 წელი იქნება ეტაპი „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივნიშვილის რეჟიმის პოლიტიკურ ჯოჯოხეთში გასტუმრების. ეს აუცილებლად დადგება, იმ სტრატეგიით, რომელიც შემუშავებულია“...

მშრალი გონებით რომ შევხედოთ, ეს ხალხი, სააკაშვილი, იმ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი, მოძრაობა „შეცვალე“, შალვა ნათელაშვილი და უამრავი სხვა „ცნობილი პიროვნება“, რეალობას ზუსტად ისე არიან მოწყვეტილნი, როგორც დაზიანებული კოსმოსური ხომალდის რაღაც დეტალი მთავარ მატარებელს.

რა „შავი სია“, რა ივანიშვილის ამ ეფემერულ სიაში „შეყვანის დაჩქარება“. თქვენი არ არის ის „სია“? და რას მიჰქარავთ, ვითომ რაღაც „სერიოზული განხილვები“ გაქვთ?

სრული სისულელე! იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ ივანიშვილის ქონების დაყადაღება, უუუუტვინოესი აბსურდია და ეს ამ „შემცვლელების“ უფროსებმაც და სავარაუდოდ მათმა დიდმა ნაწილმაც კარგად იციან, მაგრამ ცდილობენ მოსახლეობაში ე.წ. „უბურთოდ თამაშის“ განცდის შექმნას. ისეთი თამაშის, რომელიც სინამდვილეში რომელიღაც ფეხბურთელის ყოვლად უაზრო სირბილია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რაღაცას აკეთებს!

იგივე „უბურთოდ თამაშის“ შეგრძნებას ქმნის ვინმე ნათელაშვილი. რა „ჟამი“ და რის „პოლიტიკური ჯოჯოხეთი“. ხალხმა ხომ იცის და თქვენიც ხომ იცით, რეალურად ვინ არის „გასტუმრებული“, მაგრამ ფხაკური აუცილებელია.

უბედურება კი ისაა, რომ მოსახლეობა ამ ყველაფერს უყურებს, უსმენს და მიუხედავად იმისა, რომ არ სჯერა არც ერთი სიტყვის, გასაღების ბაზარს ქმნის.

ბაზარს, რომელიც ერთი-ერთში ჰგავს იმ ყველით მოვაჭრეთა დახლებს, სადაც ყველამ იცის, რომ ანტისანიტარიაა, ჯანმრთელობისთვის საშიშია, მაგრამ მაინც მიდის და იქ ყიდულობს. ყიდულობს იმიტომ, რომ იაფია!

ყიდულობს იმიტომ, რომ დეპრესიულ რეგიონში ცხოვრობს.

გამოსავალი არ მკითხოთ. არ მკითხოთ, რადგანაც ჩემი პასუხი — მენტალური კონტრრევოლუციაა. ეს კი, სავარაუდოდ, „მთვრალ მონებს“ არ მოეწონებათ.



გია გაბრიჭიძე



სასულიერო მოღვაწეებს ბევრი მოეთხოვებათ და ცოტა შეენდობათ

გამოჩენილი მამულიშვილების ურთიერთმტრობა ისეთი დამწაშავეობაა, რომ ყოველგვარ სიგლახეს აჭარბებს.

საქართველოს კათოლიკოსი ანტონ II

XIX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოისპო, კათოლიკოსობა გაუქმდა, რუსული წესები უნდა შემოეღოთ საეკლესიო დარგშიც. ამ მხრივ კარგი კანდიდატურებიც შეარჩიეს — ეგზარქოსად გამოგზავნილი იქნა ქსნის ერისთავის დავითის შვილი, ნათავადარი ვარლამი, ხოლო მისი ნააზნაურალი შვილი დოსითეოსი დანიშნეს გორის ეპისკოპოსად.

ცნობილია, რომ რუსეთის რეაქციულმა ძალებმა საქართველოს ეკლესიის მმართველობაში არევ-დარევის შეტანის მიზნით ქართველ სასულიერო პირებს შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდება დაიწყეს. სხვადასხვა წახალისებით და ცრუ დაპირებებით თავის მხარეზე გადაიყვანეს საეკლესიო პირების გარკვეული ნაწილი. პირველ რიგში გამოიყენეს „თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი“ თბილელი მიტროპოლიტი არსენი, რომელიც წარმოშობით ბაგრატიონი იყო. ასეთი თვისების პიროვნება არც კათოლიკოსს და არც სხვა სასულიერო პირების ავტორიტეტს არ ცნობდა და ხშირად ეკლესიაში აყალმაყალის და დებოშის ამტეხი იყო. მან 1804 წლის 12 დეკემბერსაც გამოავლინა ასეთი რამ. მაშინ, როდესაც სიონის ტაძარში იმპერატორ ალექსანდრე I-ის დაბადების დღისადმი მიძღვნილ წირვა-ლოცვას აღავლენდნენ სრულიად გაუგებარ ვითარებაში თბილელმა არსენმა კათოლიკოს-პატრიარქის, მთავარმართლებლის და სხვა საეკლესიო მხარეთა თანდასწრებით საკურთხეველში სცემა და გარეთ გაგდებას უპირებდა დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს, ხოლო მთავარეპისკოპოს ვარლამს და არქიმანდრიტ დოსითეოსს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც იქ დამსწრეთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია **(ელდ.ბუბულაშვილი, ანტონ II., თბ. 2011, გვ.41).**

იხ. 4 გვ.

ვაიოპოზიცია ყველა სახელმწიფო ორგანოს დისკრედიტაციას ცდილობს!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ოპონენტები საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ყველა სახელმწიფო ორგანოს დისკრედიტაციას ცდილობენ.

ამ კომენტარით სესიაშვილი პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, სასამართლო ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეს მიზანმიმართულად ფორსირებულ რეჟიმში განიხილავს.

„როცა სასამართლო პროცესები არ იმართება, კრიტიკა არის, რატომ არ იმართება დროულად, როცა დროულად იმართება, შემდეგ კრიტიკაა, რატომ იმართება დროულად. სამწუხაროდ, მე თითოეულ საქმეს ვერ გავყვები დეტალურად. ერთი, რომ პირდაპირი კომპეტენცია და ვალდებულება არ მაქვს ამისი, მეორე მხრივ, ჩემი მხრიდან პოლიტიკური შეფასება იქნება, რასაც არ ერიდებიან ოპონენტები. ოპონენტები დღეს ცდილობენ, ყველა სახელმწიფო ორგანოს დისკრედიტაციას. ეს არის მათი პირდაპირი მიზანი, რათა რამენაირად დააზიანონ ხელისუფლება, თუმცა, სამწუხაროდ, აზიანებენ სახელმწიფოს და ჩვენს თანამოქალაქეებს“, — განაცხადა სესიაშვილმა.

სესიაშვილის განმარტებით, ოპოზიციის სტილია, არ აღიაროს მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა სამართლიანი იყოს ის.

„მე ვხედავ, რომ ყველა შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება მეტ-ნაკლებად საზოგადოებაში სამართლიანადაა აღქმული. ის, რომ ოპოზიცია რაც არ უნდა სწორი გადაწყვეტილება იყოს მიღებული, ამას არ აღიარებს, როგორც სამართლიან გადაწყვეტილებას, ეს არის მათი პოლიტიკური ნიშა. როცა ადვოკატი ცდილობს, რომ საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანოს, ვფიქრობ, ისინი წყდებიან თავის პროფესიულ ნიშას. ჩემთვის ცოტა არასასიამოვნოა, როცა ადვოკატი ორიენტირებული არ იქნება საქმის გამარჯვებაზე და შეეცდება, ყველაფერი პოლიტიკური ნიშნით ახსნას. აჯობებს, ადვოკატებმა თავიანთი საქმე გააკეთონ“, — განაცხადა სესიაშვილმა.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ:

ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ, ᲐᲠᲪ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲐᲠᲪ ᲭᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ



ᲐᲛ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ. ᲣᲪᲔᲑ ᲐᲛᲝᲢᲘᲕᲘᲢᲘᲕᲓᲐ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ...

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ „ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲕᲘᲜᲛᲔᲯ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲮᲚᲐ, �პᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔ ᲓᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ – ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ.

ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠ �გᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲐᲓᲠᲔᲡᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ �პᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲓᲠᲝᲐ, ᲘᲗᲥᲕᲐᲡ.

ᲕᲘᲪᲧᲕᲘ ᲙᲘᲓᲔᲪ!

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲛᲐ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ **ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲛᲐ** ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ.

„ᲐᲓᲠᲔ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲘᲩᲔᲛᲔᲑᲓᲐ – ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲛᲔ ᲓᲐᲕᲜᲘᲨᲜᲔᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ.

ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲓᲐ �გᲐᲡᲐᲒᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔ ᲠᲝᲛ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲜᲘᲨᲜᲐ.

ᲐᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ – ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲘᲗ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲡ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲕᲘᲪᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲓᲘᲐᲮᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲕᲘᲡᲘᲐᲣᲑᲠᲔᲗ, ᲘᲛ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲣᲤᲔᲕᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲓᲐᲜᲗᲐᲜᲮᲛᲓᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲝᲓᲐ ᲐᲗᲘᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲘᲡᲢᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲔᲧᲕᲐᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲓᲐ Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲐ. ᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ ᲙᲕᲔᲮᲜᲐᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲔᲧᲕᲐᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲔᲡ ᲐᲠ ᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲓᲐ Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲐ. ᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲢᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐᲡ, ᲔᲠᲗᲮᲐᲜᲡ ᲛᲘᲐᲚᲬᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ I-ᲛᲐ 1814 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲥᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡᲫᲘᲠᲘ, ᲣᲐᲛᲘᲡᲝᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲝᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲑᲨᲘᲝ, ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ ᲓᲝᲡᲘᲗᲔᲝᲡᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ 1817 ᲬᲚᲘᲡ 12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲥᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡᲫᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐᲗ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲡ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲝᲠᲛᲐ�გᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲫᲐᲑᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ. ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲛᲣᲮᲚᲛᲝᲓᲠᲔᲙᲘᲚᲘ ᲔᲮᲕᲔᲬᲔᲑᲝᲓᲐ, ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲨᲣ-ᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲘᲗ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲡ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲭᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ Ნ.ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲭᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲔᲗᲐᲜᲮᲛᲜᲔᲜ Ნ.ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲝ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲛᲘᲭᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲪ ᲘᲧᲝ.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ – ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲪ – ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ Ზ.�გᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲕᲐᲜᲘᲐᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲕᲓᲐ.

ᲠᲝᲪᲐ 1989 ᲬᲚᲘᲡ 18 �მᲐᲠᲢᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲘᲛᲭᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲛᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲰᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲰᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲐᲑᲜᲘᲐ.

ᲝᲞᲔᲠᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲘᲧᲝ �გᲐᲭᲔᲓᲘᲚᲘ. ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲢᲔᲕᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲑᲝᲛᲖᲔ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲝᲔᲡᲛᲘᲜᲐ, ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ თᲔᲐᲢᲠᲨᲘ. ᲘᲝᲡᲔᲑ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲝ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲩᲝᲩᲥᲝᲚᲘ ᲐᲢᲧᲓᲐ. ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ: �გᲐᲠᲔᲗ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲑᲔᲕᲡᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲐᲕᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔ: თᲣ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲐᲠ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲑᲔᲕᲐ, ᲛᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲩᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ, ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲓᲒᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲖᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲕᲔᲓᲘ (ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲣᲠᲖᲐᲣᲠᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲚᲐᲜᲫᲚᲕᲐ-ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲘᲐᲜᲢᲔᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲛᲔ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ, ᲛᲐᲗ ᲛᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲨᲔᲜᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗᲝ. ᲛᲔ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔ: ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲯᲝᲑᲡ ᲬᲐᲮᲕᲘᲓᲔᲗ, ᲠᲐᲘᲛᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲗ. ᲐᲛ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲖᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ - ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲒᲘᲪᲓᲘᲡ, ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐᲝ. ᲛᲔ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ თᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲨᲔᲕᲔᲑᲠᲣᲜᲓᲘ. ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔᲛ ᲗᲥᲕᲐ: ᲐᲮᲚᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲜᲣ ᲩᲐᲨᲚᲘ, ᲛᲔᲠᲔ, ᲗᲣ �გᲘᲜᲓᲐ, �გᲐᲓᲐᲓᲔᲥᲘᲗ. ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲔᲠᲑᲘᲐᲗ. ᲥᲣᲩᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ �გᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ. ᲐᲡᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲗᲣ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ თᲔᲐᲢᲠᲘᲡ წᲘᲜ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ Ზ.�გᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ, ᲐᲡᲔ �თᲣ ᲘᲡᲔ, ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲑᲐᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ, ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲛᲔ ᲓᲐᲕᲜᲘᲨᲜᲔᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ (ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲗ ᲐᲓᲠᲔ), Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲕᲔᲬᲜᲐᲛᲣᲓᲐᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲧᲐᲕᲘᲝᲗ, ᲠᲐᲙᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ Ნ.ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲭᲘᲠᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲐᲛᲓᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ Ნ.ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲧᲕᲔᲢᲓᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ „ᲓᲠᲝᲜᲨᲘ“ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ. ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, Ჯ.ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐᲡ

სვეტლანა და შალვა

წმრილის ადრესატზე, ბატონ შალვა მგალობლიშვილზე საუბრის დაწყებამდე, აუცილებლობად მიმაჩნია წანამძღვრად სამტრედიასა და მის წარსულთან დაკავშირებული ერთი ამბავი გავიხსენო.

1967 წელია, რაიონის მკვიდრის, აფხაზეთში მოღვაწე სოხუმის კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი ალექსანდრე გრიგოლიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით სამტრედიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 60-კაციანი დელეგაცია სტუმრობს. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობისა და უშუალოდ ბატონი ალექსანდრეს მიერ კურორტ სამტრედიის მშენებლობის საფუძვლის გაჭრის შემდეგ რაიონის კულტურის სახლში ხალხმრავალი საიუბილეო საღამო იმართება, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ისტორიული მეგობრობისა და საუკუნეთა მანძილზე ქართულ მიწაზე ურთიერთგაგებისა და თანაცხოვრების ნათელ დემონსტრირებად იქცა. შეხვედრის „ფინალს“ იანეთში „რესტორან „ცისკარაში“ სტუმართა პატივსაცემად გამართული ვახშამი წარმოადგენდა.

დაუდგრომელი და ბოზოქარი...

მოხდა ისე, რომ სუფრის თამადას პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ **ნოდარ კოხრეიძეს** შეხვედრის დაწყებამდე სასწრაფოდ თბილისში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უხმეს, მან ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად, სუფრის ხელმძღვანელად დარბაზს ჩემი პიროვნება წარუდგინა. სტუმარ-მასპინძელთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, თანამდებობრივად კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნისთვის, საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეულ საპატიო სტუმართა და თავად აფხაზეთიდან ნაღები საზოგადოების წარმომადგენლობის ფონზე, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმის იმდროინდელი თავმჯდომარე, ბატონი ბაგრატ შინკუბა ხელმძღვანელობდა, ეს იყო ძალზე დიდი პატივი. რამეთუ ესოდენ საპატიო სუფრის ხელმძღვანელობის პარალელურად ჩემი ყოველი სიტყვა და მოქმედება, სათანადო ეტიკეტის დაცვასაც ითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ თავიდანვე ერთგვარმა შიშმა და დაძაბულობამ შემიპყრო, რაც ჩემ გვერდით მჯდომ აფხაზთა დელეგაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, დაახლოებით 50 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს, როგორც შემდგომში გაირკვა აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარ ექიმსა და აფხაზეთის მთავარ ფსიქიატრს, ამ წერილის ადრესატის მამას, ბატონ **ბიძინა მგალობლიშვილს** შეუმჩნეველი არ დარჩენია. მახსოვს, ხელი მომხვია და ჩამჩურჩულა: ნუ ნერვიულობ, შენ გვერდით მიგულე, ყველაფერი კარგად იქნებაო. მართლაც, მისი თანადგომით სუფრა ისე წარიმართა, რომ სტუმართა და პირადად ბატონი შინკუბას დიდი მადლობა დავიმახსოვრეთ. ამდენად, ბატონი ბიძინას პიროვნება ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც ქართული, კაცურკაცობის ნიმუში და განსახიერება.

წერილის შესავალში ამ მოგონებას იმიტომ ვუხმე, რომ მკითხველს თვიდანვე ვაუწყო ბატონი **შალვა მგალობლიშვილის** სახით როგორი პიროვნების შთამომავალთან ექნება შეხება.

1971 წელსვე, როცა სამტრედიაში ჯანდაცვის სამინისტროს სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი გაიხსნა და მის მთავარ ექიმად შალვა მგალობლიშვილი დაინიშნა, მივხვდი, რომ იგი ჩემგან საპატივცემულო პიროვნების, ბატონი ბიძინას ვაჟი იქნებოდა.

მგალობლიშვილების ფუძეთა-ფუძე აბაშის რაიონის, ჩვენი უშუალო სამეზობლო, სოფელი მარანია, რითაც იმთავითვე ნათელი იყო, რომ ამ სოფლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს სამტრედიასა და სამტრედიელებთან საერთო ენის გამოძებნა არ გაუჭირდებოდა. მართლაც, სტუმრად მოსული მალე რაიონის მასპინძლად ისე მყარად წარმოჩნდა, რომ სამტრედიის ინტელიგენციის ცნობადი სახეების შეკრებისა და სტუმარ-მასპინძლობის ადგილად მარანში შალვას ულამაზესი კარ-მიდამო იქცა. თანაც, იმ დონეზე, რომ რაიონის კოლორიტმა პიროვნებამ, რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ბატონმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა თავისი უფროსი ვაჟიშვილის გიას ქორწილი მარანში გადაიხადა, ხოლო შემდგომ მისმა სეხნია შვილიშვილმა ვახტანგმაც მარანში იქორწინა (ცნობილი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი).

დიდ ოჯახთან ერთად

სამტრედიაში, კერძო სახლის რამდენიმე ოთახში განთავსებული ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შალვას, როგორც ექიმისა და ორგანიზატორის უნარსა და შესაძლებლობას ერთგვარ ჩარჩოებში აქცევდა, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. იგი წულუკიძეში (ქ. ხონის), სოფელ ქუტირში 1977 წელს მიმდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ჯერ მშენებლობის ხელმძღვანელად, ხოლო შემდგომ მის მთავარ ექიმად ინიშნება, სადაც საქმიანობის 29 წლის მანძილზე ხილულად და ნათლად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, როცა ტრიალ მინდორზე განთავსებული საავადმყოფოს შემოგარენი, ერთგვარ „ოაზისად“ აქცია. მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამხმარე მეურნეობა ჩამოაყალიბა, სათევზე ტბორიც მოაწყო, რომელშიც შესაძლებლობის ფარგლებში, საავადმყოფოს პაციენტები დაასაქმა, რათა დაწესებულება საკუთარი ხილ-ბოსტნეულითა და თევზეულით მომარაგებულიყო. გარდა ამისა, დაწესებულება სპეციალური სამედიცინო ტექნიკით უზრუნველეყო. 750 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფო მალე ამიერკავკასიაში დარგის კონფერენციების ჩატარების ცენტრად იქცა, რომელსაც ხშირად საბჭოეთის მაშინდელი მთავარი ფსიქიატრი, ბატონი ჩურკინიც სტუმრობდა.

შეჭირვებულთა თანამდგომი, სამეგობროს ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, უშურველი და გულღია მასპინძელი, უტყუარი, ყველგან და ყველაფერში სიკეთის მთესველი, მართალი და საჭიროების შემთხვევაში შეუვალი, იუმორითა და შესაბამისი კეთილი ქმედებებით დაჯილდოებული – ესაა შალვას პიროვნებაში მყარად განვითარებული თვისებები, რაც შვილებმა 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისდამი სიურპრიზად მიძღვნილ კრებულში „დაუდგრომელი და ბოზოქარი“, ერთად აკინძეს... და მეც, თავს უფლებას ვაძლევ მათი მცირედი ნაწილი პირად მოგონებებთან ერთად, მკითხველამდე მივიტანო.

სოფელ იანეთში, ჩემს სტუმართა შორის მყოფმა შალვამ თანმხლები, 13-14 წლის ყმაწვილი წარმოგვიდგინა: გაიცანით, ეწრის უდედმამო ბავშვთა სახლიდანაა, ჩემი შვილობილიაო. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა. დღეს შალვას სამეგობრო **მიხეილ (მიშიკო) მგალობლიშვილს** შალვას მესამე შვილად ცნობს, რომელიც მეუღლესთან სოფო ქაჯაიასთან ერთად მარანში ცხოვრობს და გამორჩეული სტუმართმოყვარეობით მგალობლიშვილების მრავალრიცხოვან ჯალაბსა და სამეგობროს მასპინძლობს.

ვ. კვარაცხელია, ა. ზურაბაშვილი, შ. მგალობლიშვილი, ე. გობრონიძე

მრავალთა შორის შალვას პიროვნებისგან ახლობელთა თანადგომის მაგალითად ისიც გამოდგება, როცა მეგობრის სამკურნალოდ კუთვნილი შვებულება ნაადრევად აიღო, მოსკოვში გაჰყვა და მდგომარეობის გაუმჯობესებამდე მასთან დარჩა.

„დღეს ცოცხალი რომ ვარ, შალვას დამსახურებაა, გულით ავადმყოფი ერევანში საოპერაციოდ წამიყვანა“, – ბრძანებს სამეგობროს ერთ-ერთი წევრი, საქართველოში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული პიროვნება ბატონი **ზურაბ გოგოხია.**

ახლო მეგობრის, აწ გარდაცვლილი ჯემალ კიკაბიძის ვაჟს ალექსანდრეს (ალიკა) მიაჩნია, რომ შალვა ბიძიას ხანგრძლივი სიცოცხლე ჰაერივით სჭირდებათ მისი გარდაცვლილი მეგობრის შვილებს.

აკადემიკოსი თამაზ ცანავა მას სიყვარულისა და სიკეთის მთესველად, უფლისგან მოვლენილ პიროვნებად მიჩნევს, რომელშიც გამორჩეულადაა წარმოდგენილი გარდაცვლილ მეგობართა პატივგება და მათი ოჯახისადმი ყურადღება, რასაც მის მობილურში განთავსებული, თითოეული მათგანის, დაბადების თუ გარდაცვალების თარიღებიც ადასტურებს.

გარდაცვალების იმიტომ, რომ როგორც თავად ამბობს, ეს მათ საფლავზე გასვლას ავალდებულებს.

წიგნში მრავლადაა წარმოდგენილი შალვას მიერ სამეგობროსადმი მოწყობილი, იუმორით გაჯერებული ოინები თუ სხვა სახის სიურპრიზები, რომლებიც იმდენად კეთილგანწყობისა და პატივისცემის შემცველია, რომ მისი შემოქმედების მიმართ განაწყენების ნაცვლად პატივისცემით განგაწყობს.

გვიანი ღამეა. მარანში მყოფი თბილისელი სტუმრები, მეორე დღისთვის სამსახურში ყოფნის აუცილებლობის მომიზეზებით მასპინძელს პურმარილის დამთავრებას სთხოვენ. ისიც, სტუმართაგან შეუმჩნევლად, მეზობლად მცხოვრებ „კამაზის“ მძღოლს უხმობს, და... გარეთ გამოსულთ ეზოს შესასვლელ ჭიშკარში დაყრილი, ცხენისწყლიდან ამოღებული, ინერტული მასალა და მისი გასასუფთავებელი ნიჩბები ხვდებათ, ამ „შავი სამუშაოს“ შესრულებას საკმაოდ შექეიფიანებული სტუმრები, ქეიფის გაგრძელებას არჩევენ.

საპირისპიროდ, როცა სტუმრების სხვა ჯგუფმა, მისი ქეიფის დამთავრების თაობაზე თხოვნა ყურად არ იღო, შალვამაც იქვე კედელზე დაკიდებული თოფის ჰილზების ჩასაწყობი ე.წ. პატრონტაჟი ჩამოიღო და ჰილზები ანთებულ ბუხარში შეყარა. ამით შეშინებულებმა თავის საშველად, ლამის ერთმანეთი გადათელეს, ბოლოს კი... გაირკვა, რომ მასპინძელს ბუხარში ცარიელი ჰილზები შეუყრია.

გრიგოლეთში ყოფილი საბჭოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ დამსვენებლებს შალვამ სიურპრიზი მოუწყო და დილით, ტრადიციულად, ექვს საათზე, მთელი გრიგოლეთის გასაგონად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნი „სოიუზ ნერუშიმი“ ჩაურთო.

შალვას სამეგობრო არეალი მთელ საქართველოს მოიცავს, ამიტომაცაა, რომ მას ყველგან ქვეყნის კოლორიტად მოიხსენიებენ. მისმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა აფხაზეთში დაღუპული მამის უპრობლემოდ გადმოსვენება და მშობლიური მარნის სასაფლაოზე, წინაპართა გვერდით დაკრძალვა იმ მიწაზე, სადაც შალვას მიერ აგებული ეკლესიაა განთავსებული.

საამაყო და მისაბაძია ქართული ტრადიციების მატარებელი ბატონი შალვას ოჯახური გარემო, მეუღლე, მისებრ სიკეთით აღსავსე ქალბატონი სვეტა აბშილავა, რომელსაც სამეგობრო, შალვას გამძლეობისთვის მსოფლიო ჩემპიონად მოიხსენიებს. შვილებიდან უფროსი ბიძინა ბაბუასა და მამის კვალს გაჰყვა და დღეს თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმია, ბევრ რამეში მამის განსახიერებაა მომდევნო შვილი, პარლამენტის წევრი, პროფესიით ინჟინერი ლევანი, უმცროსი მიხეილ (მიშიკო) მგალობლიშვილი მარანსა და გრიგოლეთში განთავსებული შალვას „სავანეთა“ მფლობელი „პლანტატორია“, თავად შალვა, ბიძინას შვიდ შვილთა შორის ყველაზე უფროსი, და დანარჩენ ექვს და-ძმათა საამაყო და სალოცავი ხატია.

საქართველოს ყველა კუთხეში ხშირად გაიგონებთ პოეტ სიმონ გუგუნავას ტექსტზე შექმნილ ხალხურ სიმღერას:

„შალვა ჩემო სიხარულო,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემი თავის სანუგეშოდ
ნაშობო და გამოზრდილო“.

სამწუხაროდ, არ ვიცი, ეს ლექსი საქართველოში ვის, რომელ ცნობად სახეს ეძღვნება, სამაგიეროდ, კარგად ვუწყი, რომ იგი ამ წერილის ადრესატზე მორგებული სიტყვებით საოცრადაა გაჯერებული.

გულით ვულოცავ ჩემს უმცროს მეგობარ შალვა მგალობლიშვილს 77 წლის იუბილეს, ლამაზად საცქერია გვერდიგვერდ ორი შვიდიანი, მაგრამ, უფრო ლამაზია ორ ცხრიანს პლუს ერთი.

ღმერთმა გვისმინოს!

ბორის ფოცხვერაშვილი

ლექსს არასოდეს შევგმივარ...

შენგან არ გამკვირვებია, ბატონო მურმან?!

ერთხელ მწერალმა მურმან ჯგუბურიამ მკითხა:შენი მშვენიერი პაროდია წავიკითხე ცხონებული გივი გეგეჭკორის ლექსზე და გავიფიქრე,ნეტაი, ლექსებს რატომ არ წერს-მეთქი.

აქეთ კიდევ, ეროვნული პრემიის ლაურეატმა, ერთი ფიორი რომ დარჩენია „რუსთაველამდე“, დასძინა: ჭაბუკობისას რომ შეგითხზავს შეყვარებულისთვის — „შენ გქვია სახელი ყველაზე ლამაზი და, თუ ყველა ლამაზს არ ქვია ლიანა, მერწმუნე, ეს გული ვინც შემოგთავაზა, მას უყვარს სახელი, ლამაზი კიარა!“ (ლამაზად არ თვლიდა თავს, თორემ, ლამაზი ვის არ ჰყვარებია!)

ჰოდა ეს უკვე ლექსიაო.

მაინც მომეტებულად, მურმანისგან გამკვირვებია, ზოგიერთ ჭარბად ამბიციერებულ პოეტზე რომ ასკვნის, ბლეფიკოსიაო, ახლა მეძლევა საშუალება და ვუპასუხებ: იმიტომ ჩემო მურმან, რომ მერე, ენა მახვილი ბესო ყლენტივით არ გაგექილიკებინე,- შენ არც ბლეფიკოსებში არ მიგულისხმიხარო!

ეს ისე, ჩვეულებისამებრ...

„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი!“ — ვეჭვობ, ეს ლაკონიური ვერდიქტი დღევანდელზე უფრო აქტუალური ყოფილიყო მაშინ, მე-20 საუკუნის შუახანს, როცა გენიოსმა პოეტმა ასეთი კომენტარი დაურთო ერთ კონკრეტულ ლექსს; თუმცა, კონკრეტიკა უმალვე შთაინთქა, რადგან სალიტერატურო კრიტიკამ უმალვე „თავის შეიარაღებაზე აიყვანა“ იგი!..

დავიწყოთ იმით, რომ ბარე ორს წყალგაუვალ ჭეშმარიტებად მიუჩნევია დიდი ჰოვანეს თუმანიანის ცნობილი სიტყვები, რომ „ქართველი ყველა პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი — ორგზის პოეტი“.

სასიამოვნოა სადღეგრძელოს მოსმენა, მაგრამ ობიექტური აზრის — სასარგებლო!

ყურადსაღებია, რომ სწორედ იმავე ისტორიულ რეალობაში საქვეყნოდ გაიელვა სულმნათი აკაკის მწარე ეპიგრამამ: „წერე, წერე, ჩემო ვარდენ, მტერს დაასვი ისარიო, პოეტი თუ არ გამოხვალ, წერას მაინც ისწავლიო!“

ბევრი იცინეს, მაგრამ ცოტამ თუ დაუჯერა. კი არადა, ზოგმა წერაც ვერ ისწავლა!..

ეს ისე, სხვათა შორის.

ერთხელ, ამ ოციოდე წლის წინათ, ცხონებულ შოთა ნიშნიანიძეს, შინაურ საუბარში, ჭაბუკობისდროინდელი ჩემი „ლექსი“ წავუკითხე: „შენ იყავ, მე და კიდევ — ბნელი ღამე... დილით შენ აგიხსნეს იქსი პლუს იგრეკი, ღამით კი, როდესაც მშვიდ ძილს აპირებდი, მე მოველ, რომ მეთქვა შენთვის სულ სხვა რამე. დავიწყე, რის ალგებრა და რის პითაგორა, — თვალებმა უაზროდ დაიწყო ფახული. ო, მაშინ შენ იყავ რაღაც არნახული — ოცნებამ ისარგებლა — ჩუმად გეამბორა!“

მერედა, ლექსების წერა რატომ არ განაგრძეო! არ მინდოდა, ისე რა პოეტი ვყოფილიყავი-მეთქი!

ჩაიღიმა, კაი წინდახედული ვინმე ყოფილხარო; ანუ, კვერი დამიკრა, სწორი გიქნიაო!

„საყმაწვილო სენისგან“ ადრევე განვიკურნე, თუმცა, რაღა არ გარდამხდა თავს ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ ცხოვრებაში! სცენის სტატისტობა მარჯანიშვილის თეატრში, კიევის სამხედრო სასწავლებელში სწავლა, ოფიცრის შვიდთვიანი სტაჟი ქართულ ნაციონალურ დივიზიაში, ხრუშჩოვის ბრძანებით დივიზიის გაუქმების შემდეგ, ოთხწლიანი ხეტიალი სამუშაოს ძიებაში შორეულ უზბეკეთში, დაბრუნება და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლა უნივერსიტეტში, პირველი პუბლიკაციები „პირველ სხივსა“ და რესპუბლიკურ პრესაში; „ნაკადულის“ კონკურსში გამარჯვება და წიგნი — „ჩემი ყავარჯნიანი მამა“. მოთხრობები, იუმორისტული ჩანახატები, ლიტერატურული პაროდიები, ესეი, რეცენზია, ინტერვიუ, თარგმანი... მაგრამ, ვიმეორებ, ლექსს არასოდეს შევბმივარ!

და აი, ალმანახ „კრიტიკის“ 1987 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა პირველი ლიტერატურული პაროდიები ჩემთვის ძვირფასი პოეტების ვახტანგ ჯავახაძისა და დაუვიწყარი გივი გეგეჭკორის ლექსებზე.

ვახტანგ ჯავახაძე

უსათაურო

(ფრაგმენტი)



ჩემდა ჭირად ამედევნა
(რა ვიცოდი მაშინ!)
ორმოცი წლის პოეტი და
სამოცი წლის ბავშვი,
კომედია გეგონებათ
ანუი — ბო-მარშეს,
გულს ვასკდები მე ამნაირ
მაი-მუნო-ბაში!
არ ვკითხულობ, აღარ ვილტვი
ტალბერგსა და ტარლეს,
ვოლტერსა და ვალტერსა და
ვერლენსა და ვარლენს,
მაწონსა და ხაჭოსა და
ნადუღსა და ნაღებს...
ღმერთო, გული ნუ მომისპე
და ნუ დამი-დაღე!..

გივი გეგეჭკორი

დავი

ენის ამოღებამდე და თვით დედის
საშოში სულის ჩადგმის მერეც,
ჩემი გულის სიმები მიჯნურობის
ოქტავზე სევდიანად ჟღერენ...
ზოგი ქონდრის კაცუნა ქაჯურ
ქედმაღლურობით ამრეზილად მიმზერს,
თითქოსდა, ყადი ვიყო, ყადი, თანაც
უკუღმა გადამჯდარი ვირზე!
მაგრამ არაფერია! სხვათაც გამაქილიკონ,
ტვინი გაიგრილონ,
ვიდრე წავლენ მარილზე, გეგეჭკორის
გაცნობა ოღონდ დააპირონ!
ნურც ნურვინ შემიბრალებს, მუზამ რომც
მიღალატოს, მაინც მითქვამს, — დავი!
ჩემს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს, სანამ
ქვეყნად მექნება ლექსაობის თავი!..

იმავე კვირაში, შემთხვევით შევეჩეხე ცნობილ პოეტსა და გამომცემელს, არაერთი კეთილი საქმის მომგვარებელ ბატონ **ხუტა ბერულავას**, რომელმაც მთელი სერიოზულობით მკითხა: კაცო, შენ თუ პოეტი იყავი, მე რატომ არ უნდა მცოდნოდაო!

შევიცხადე, ვინ გითხრათ, რომ პოეტი ვარ-მეთქი! რა სხვისი თქმა მინდოდა, ალმანახში ვიხილე შენი ლექსებიო... ისინი ხომ პაროდიებია-მეთქი და, პაროდიებია, თუ რაც არი, ლექსები ხომ არისო?!

ახლა უკვე გვარიანად დავიბენი... მე კი არა, თვით პაროდიების დიდოსტატს, ალექსანდრ ივანოვსაც არ ჰქონდა, რამდენადაც ვიცი, პოეტობის პრეტენზია! ჰოდა, მე რა მრჯიდა, რახი ლექსები მეწერა, საიად რომ გადაუნათლავთ კახელთ!

მკითხველს ვთხოვ, დიდსულოვნად მომიტევოს, საკუთარ პერსონაზე რომ მიწევს გაჭიანურებული საუბარი. ამჯერად კი იდუმალებით შეფერილ ამბავს მოვუყვები.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ (რა დასანანია, რომ შეწყდა მისი გამოცემა!) 1911 წლის მე-16 ნომერში კიდევ ერთხელ ვისიამოვნე ვალერიან გაფრინდაშვილის ცნობილი ტრიოლეტის წაკითხვით.

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში
ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში
თეთრი ვერსალი,
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა
ესაფეხურა.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში
ნაზი ბეღურა,
მე განშორების ცივი თოვლი
დიდხანს მეხურა,
ვტიროდი ხარბათ... მარტოობით
ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში
ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში
თეთრი ვერსალი.

და, ჰოი, საოცრებავ! — მოულოდნელად მომესურვილა, ისე, ჩემთვის, გართობის მიზნით, მეცადა ბედი და ტრიოლეტს შევბმოდი.

ახლაღა ვხვდები, ეს სოფელი
მუხანათია, —
ბრძენიც რომ იყო, რეგვენივით
გამოგიყენებს!
ნუ გეგონებათ, სულ სიამე,
სულ შარბათია.
ახლაღა ვხვდები, ეს სოფელი
მუხანათია.
ვისთვის სადაგი, ვისთვის კიდევ —
სულ შაბათია,
სულ რომ არ ელი, სულ არაფრის
გამო გიყელებს!
ახლაღა ვხვდები, ეს სოფელი მუხანათია,
ბრძენიც რომ იყო, რეგვენივით
გამოგიყენებს!

* * *

ახლა კი, ხსენებული ეპითეტის — „იდუმალებით“-ის თაობაზე, ზემოთ რომ ვახსენე.

ცოტათი უფრო ადრე, აწ უკვე მთაწმინდის პანთეონის ბინადრის ჯანსუღ ჩარკვიანის ფრიად გახმაურებულ ლექსზე დავწერე პაროდია.

„მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი...“

ჯ. ჩარკვიანი

მოშურნესათვის დამავსებინე თვალი,
მსტოვარისათვის ამაბნევინე კვალი,
მომხვდურისათვის გამაკვრევინე
ბრჭყალი,
იმისი სისხლით გამაფერინე ხმალი,
დაცამლეწვინე მისი ხორცი და ძვალი,
დამაბრუნებინე ყველა ლაზი თუ გურჯი,
ყოველ მათგანში გამაღვიძებინე ქუჯი,
მოდავისათვის დამაბრუნებინე ხურდა,
მერე მობრძანდეს, მობრძანდეს,
ვისაც უნდა!..

* * *

ცოტა არ იყოს, პაროდია მეც მომივიდა ყუათში და შეთამამებულმა, „ლექსის ჭაშნაგირს“ ტარიელ ჭანტურიას, „უაღრესად საინტერესო პოეტს“ (ირაკლი აბაშიძე) წავუკითხე, რას იტყვი-მეთქი.

შემაქო და მეუბნება, ეგ პაროდია კი არა, ჯანუკის ლექსი გაგიგრძელებიაო!

ვერ დავიმორცხვებ, ნამდვილად გამეხარდა, მაგრამ... თურმე, ჯერ სადა ხარ!

ბედის ირონიით თუ კანონზომიერების იღბლიანი წყალობით, ახლა თვითონ ტარიელის ლექსი გავაპაროდიულე.

„მეცხრამეტე გასრულდა, ჟამი დადგა მეოცის, აღარც გიჟი ტრისტანი, არც სევდა რომეოსი...“

ტ. ჭანტურია



აგვისრულდა ოცნება — ჯერი დადგა
მეოხის:
შენ ჩვიდმეტის გაგხადა, შენ ჩვიდმეტის,
მე — ოცის.
მიჯნურობა ის იყო, მე და შენ რო
ვიცოდით, —
ერთად თვალს რომ მოგვკრავდნენ,
სირცხვილისგან ვიწვოდით.
ახლა ისე დადიან, „დაუკრეფავ ბაღჩაში“,
სინდისი და ნამუსი, გეგონებათ,
დარჩათ შინ.
სულერთია, სად ზიან, კაფეში თუ კინოში,
ვითომ ეჩურჩულება, შეხედავ და...
კი ლოშნის!
აღარც აბესალომის, არც ეთერის არია,
ავთანდილ-თინათინი, ნესტანი თუ ტარია
აღარავის აღარ რევს, მიჯნურობა
მკვდარია!..
მაგრამ ვართ ხომ ისევე, შენ ჩვიდმეტის,
მე ოცის,
მაგრამ დგას ხომ ისევე პირამიდა ხეოპსის!
ტფუი ეშმას! — აწმყოს და კვლავ დავიწყოთ
თავიდან:
შუა ზღვაში, ძვირფასო, გადამაგდე
ნავიდან!

ცხონებულმა ჯანსუღმაც ზუსტად ისეთივე აზრი გამოთქვა, როგორიც — ტარიელმა, — პაროდია რა შუაშია, შენ ტარიას ლექსი გაგიგრძელებიაო!

როგორც ჰგავს, მისტიფიკაციას, შიგადაშიგ, ნამდვილად აქვს ადგილი, თუნდაც ლიტერატურულ სივრცეში!

სულ მალე, სამწუხაროდ, ბატონი ჯანსუღი გარდაიცვალა.

ხოლო წლისთავზე რედაქციამ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები გამოაქვეყნა.

ამჯერად უკვე მისი გახმაურებული ლექსის ,,თოვლი მოსულას“ ქარგაზე ავაგე სტრიქონები.

ირმას!

,,თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა,
ქათქათა შენი თეთრი მკერდივით...“

ჯ. ჩარკვიანი

რა დრო გასულა! — კვლავ, ჯადოსნურად
გიელავს მოლისფერი მერდინი! —
ჭადრებთან ვდგავარ, ისევ მოვსულვარ
ფერმიხდილი და მკერდმოღეღილი,
ვგიჟდები, ირმა, დრო აქაც გარბის,

რაც მტრობას დაუნგრევია...

არც გაიფიქრო, წამომეწიო,
მე სიმწრის ოფლი ისედაც გამდის,
რომ ამოფრინდე, აქ სა გეძიო!
ვლივლივებ ცაში ნებივრად, ლაღად
(ღმერთმა მომხედა, ამასობაში)
და ვეწერები ერთ პერსონაჟად
თამრი ფხაკაძის ლამაზ რომანში.
„ჯანსულ, გეყოფა!“ „ნუ ციგნობ,
ჯანსულ!“ —
აქ ვეღარა ჭრის ეგ შეგონება,
ხუმრობა აფრთხობს ცრუსა და ავსულს,
ლიტონი სიტყვა ნუ გეგონება!
„ნუ ციგნობ, ჯანსულ!“ — მძლია ცთუნებამ
და შემაყვარა სიტყვა „ციგანი“,
იყავი, სანამ არ შეგძულდება
ირმა ჩხეიძეს ირმა გიგანი!
ჭადრებთან გელი...

* * *

სათქმელი კი ბოლომდე არ თქმულა.

ეტყობა, ბევრს ავიწყდება დიდი რუსთველის შეგონება: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი, თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი“!

გეხსომებათ, იქვეა ყოვლად უწყინარი, მაგრამ ჯიუტი ცხოველი — ჯორი!

ერთხელაც იყო, ერთ ჩემს „ხელხვავიან“ ნაცნობ პოეტს ვკითხე, სიმღერაზე როგორა ხარ-მეთქი. არ ვმღერივარ, სმენა არა მაქვსო.

ისე, ამ „არ ვმღერივაროთი“ ყველაფერი თქვა თავის თავზე და, მეორეც, თურმე, ლექსების თხზვას სმენა არ ნაჭირვება!..

„არ ვმღერივარო“! ზემოთაც ვთქვი, ზოგიერთებმა წერაც ვერ ისწავლეს-მეთქი.

შენ მღერიხარო? — აქეთ მკითხა.

მღერიც ხარ და ეგზემაც-მეთქი! — მივუგე, მარა,შევატყვე, ქარაგმა ვერ გაიცნობიერა.

კი, პანდემიასავით მომრავლდნენ „თითქოს ლექსიას“ დიდოსტატები...

ჩინებულ ქართველ პროზაიკოსსა და დრამატურგს ოტია იოსელიანს ასეთი ჩანაწერი აღმოუჩნდა უბის წიგნაკში: „იმ დღეს, რომელ დღესაც ლექსს დაწერ, ხორციანი კერძი არ უნდა გეგემრიელოს“-ო!

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ლექსი აქვს ნაგულისხმევი და არა — მთხლე!

ეს ფრაზა, რომ რომელიმე უცხოელ მწერალთან შეგვხვედროდა, უმალვე ავიტაცებდით.

რაღაი ოტიამ თქვა, აგაბოს რომ მისტიროდა თავისი დღე და მოსწრება და, საერთოდ, ქართული სოფელი წინდაწინ რომ გამოიგლოვა — ქეა მიჩუმათებული!..

ლექსს რომ დაწერ, იმ დღეს ხორციანი კერძი უნდა გაზიდებდესო!

ზოგ-ზოგიერთს ნამეტანი არ მოუვიდეს და ყოველდღე არ იმარხულოს, ამაოდ დაშვრება!

რაიც ამ ოპუსის ავტორს შემეხება, მე, „არ“ კი არა („მე არ ვწერ ლექსებს“, ტიციანი). ვერ ვწერ ლექსებს და, ამიტომაც, ყოველდღე ვაცივითა ვარ ბოზბაშზე!

კი არადა, ხანდახან, დარეჯანის ჩიხირთმასაც წავეპოტინები ხოლმე!..

მორჩა! ავიტანე სვრელი!

მრავალ ახალ წელს დაგასწროთ უფალმა, ჯანმრთელნი და ბედნიერნი!

ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ გამჩენმა!

რაც მთავარია, ფული, ფული და ფული!

ხომ უყურებთ, ასდდოლარიანები რომ აცვივათ ვირთხებს! ხაზინისას კი არა, კალენდრისას!

დღეს ძველით ახალი წელია!..

ვიგრიალოთ მერე და ვიკითხოთ კაიკაი ლექსები!

მე შენ გეტყვი და ულევადაა!

სამ მილიონ მკითხველს ოცდაათიოდე პოეტი რას აუვა!

P.S. ჰოდა, იმას ვამბობდი — ლექსს არასოდეს შევბმივარ!!!

გიზო ზარნაძე

მინაწერები შარჟებზე:

გიზო ზარნაძე — მეგობრული შარჟი ჭ. დეისაძისა; ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახაძე, ჯ. ჩარკვიანი, გ. გეგეჭკორი — მეგობრული შარჟი ზ. სულაკაურისა.

◎ შემოქახილი ბათუმიდან

ჩამოვიდეს? არ ჩამოვიდეს?

ბოლო ხანებში ჩვენთან ყველაფერი, კარგიც და ცუდიც სადავო ხდება. ცუდზე რომ ვიდავოთ, ეს გასაკვირი არაა, მაგრამ ზოგჯერ რაღაც სასიკეთო რომ გამოიელვებს, ამაზე კი არ უნდა ვიკამათოთ და რაღაც უარყოფითი მხარეები გამოვიგონოთ, არამედ მოწონება გამოვხატოთ.

ძნელია, იწინასწარმეტყველო ევროსაბჭოს მინისტერიალი როგორ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ჩვენს ქვეყანას წაადგება თუ არა, მაგრამ ამ დიდი საერთაშორისო ფორუმის საქართველოში ჩატარება, ჩვენი ქვეყნისთვის ისედაც დიდი პატივია. უნდა ვისარგებლოთ ასეთი შესაძლებლობით (რაც საუკუნეში ალბათ 1-2-ჯერ თუ მოხდება) და ვიფიქროთ, როგორ გამოვიყენოთ იგი, რომ ჩვენს ქვეყანას რაიმე სარგებელი მოუტანოს.

ასეთი სასარგებლო ნაფიქრალიც იბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკაში.“ სამაგიეროდ თავსატეხი გახდა — ოკუპანტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შემოვუშვათ თუ არა საქართველოში.

რუსეთი თითქმის 4 საუკუნეა, ოკუპანტია და ეს ამ ქვეყნის არსებობის წესად იქცა. შორს წასვლა არაა საჭირო. საკმარისია, დავასახელოთ იმპერიის სამართალმემკვიდრე საბჭოთა რუსეთის მიერ შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნები დნესტრისპირეთში, ყარაბახში, აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, ცოტა ხნის წინათ დონეცკსა და ლუგანსკის ოლქებში, რომლებიც, კენიგსბერგის და კარელია-ფინეთის მსგავსად, ფაქტობრივად, რუსეთის ანკლავებად იქცა და აშკარად თუ ფარულად მის კანონებს ექვემდებარება.

ყველა დაზარალებული ქვეყანა: მოლდავეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და უკრაინა ეძებს გამოსავალს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პოულობს. ვერც იპოვის, რადგანაც თვით რუსეთის ნება-სურვილის გარეშე ასეთი საკითხები არ გვარდება. ნება-სურვილი კი მას არ გააჩნია, რადგანაც ეს დაარღვევს საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ იმპერიულ და ოკუპაციურ წესებს.

ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედად ვართ, მაგრამ ჯერჯერობით ამ გზით სიარულს შედეგი არც ჩვენთვის და არც სხვა ქვეყნისთვის არ მოჰყოლია. მაგალითად ისრაელ-პალესტინის კონფლიქტიც საკმარისია, რომელიც ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, აგერ უკვე 70 წელზე მეტია, სისხლის ღვრა გრძელდება და არავინ გამოჩნდა ისეთი გონიერი შუამავალი, რომ თუ მთლიანად არა, ოდნავ მაინც შეარბილოს დაძაბულობა.

ამგვარად, უნდა ვირწმუნოთ, რომ ასეთი საკითხები გარედან არ წყდება, არც დამდურებით გამოვა რაიმე. საჭიროა, ქვეყნის შიგნით გამოინახოს ძალა, მშვიდი, თანმიმდევრული, აუჩქარებელი, ნაკლებად ემოციური, რაც ადრე თუ გვიან, იმპერიაში ხელისუფლების ცვლის კვალობაზე, ოდნავ მაინც მოუბრუნებს მათ გულს, რათა აღადგინონ სამართალი და ყველას დაუბრუნონ წართმეული მიწა-წყალი, თუნდაც იმ ილუზიის აღიარების ხარჯზე, რომ რუსეთი არის კაცთმოყვარე, ჰუმანური ქვეყანა, მშვიდობისმყოფელი და ა. შ.

სიტყვამ მოიტანა და ბოლო დღეების მოვლენები გავიხსენოთ. ოკუპირებულ სამაჩაბლოს მეზობელი სოფლებიდან ადამიანების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუმცა ოსები ადგილობრივ მცხოვრებლებს იტაცებენ და გამოსასყიდის მიღების შემდეგ ათავისუფლებენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ წვრილმანებში რუსები არ ერევიან, იგი მარიონეტთა შემოსავლის წყარო, ნასუფრალია.

დავდექით ახალი სინამდვილის წინაშე. ქართველმა ინტელიგენტმა, ცნობილმა ექიმმა ვაჟა გაფრინდაშვილმა არაფრად ჩააგდო უკანონოდ გავლებული საზღვარი, გადავიდა პაციენტის თუ ეკლესიის მოსანახულებლად, დააკავეს და პირველივე დღეს განაცხადა, რომ მას არავითარი საზღვარი არ დაურღვევია და საკუთარ მშობლიურ მიწა-წყალზე გადაადგილდებოდა.

რუსი ოკუპანტებისთვის ეს არ იყო ჩვეულებრივი დამრღვევი, ამიტომ აქტიურად ჩაერივნენ, წინასწარ განზრახული გეგმით გაასამართლეს, თითქმის ორი წლით პატიმრობაც მიუსაჯეს ისე, რომ არავითარი გამოსასყიდი არ მოუთხოვიათ.

ჩვენი საზოგადოებრიობის მწვავე პროტესტების ფონზე მთელი ქვეყნიერება დადგა ფეხზე ვაჟა ექიმის გასათავისუფლებლად, მაგრამ რუსეთის მხრიდან ამას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია, თითქოს ეს მას არ ეხებოდა, თუმცა ჩვენი ზოგიერთი მოღვაწის მოსკოვში ვოიაჟების შემდეგ, გვაგრძნობინა, რომ ეს მისი ნებაა და მართლაც, სრულიად მოულოდნელად ვაჟა გაფრინდაშვილი ქართველ ხელისუფალთ გადასცა. არც ჩვენდამი გამოხატული სიყვარული და არც საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლა არ ედო საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას. მიზანი ერთი იყო: ოსებმა დააკავეს ექიმი, მიუსაჯეს კიდეც, მაგრამ გამოჩნდა კეთილი ძალა, კაცთმოყვარე არბიტრი რუსეთის ფედერაციის სახით, რომელმაც სისრულეში მოიყვანა თავისი მშვიდობისმოყვარული მისია. ბევრმა ეს არ დაიჯერა, მაგრამ ცოტამ ხომ ირწმუნა? ამგვარად მოძალადის მიზანი მიღწეულია.

ახლა რაც შეეხება მომავალ მინისტერიალს. სერგეი ლავროვი გულზე რომ არ გვეხატება, ეს თავადაც კარგად იცის, თუმცა ჯერ არ ამხელს, ჩამოვა თუ არა, ალბათ ელოდება ჩვენს განწყობილებას და გამოხმაურებას.

მან ისიც კარგად იცის და ჩვენც უნდა შევიგნოთ, რომ ასეთი სახის შეხვედრებზე, რასაც ყველა ქვეყნის დიპლომატი ვალდებულია, დაესწროს, მისი ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხი მასპინძელი ქვეყნის სურვილზე მთლიანად არაა დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია დასაბუთებული მიზეზებით მას უარი ვუთხრათ საქართველოში შემოსვლაზე, მაგრამ ამავე დროს ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევაა და ქვეყნის საყოველთაო გავლენაზე უარყოფითად იმოქმედებს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს გარდა მინისტერიალს 60-ზე მეტი ქვეყნის პირველი დიპლომატი ესწრება. რუსეთთან თითქმის ყველას აქვს გასარკვევი მნიშვნელოვანი პრობლემა (ზოგი სწორედ ამისთვის ჩამოდის), ამიტომ ვიფიქროთ, რამდენად მართალი ვიქნებით თუ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს და სასურველ სტუმრებს ამ დიდმნიშვნელოვან შეხვედრის საშუალებას მოვუსპობთ?

მივედით მთავარ სათქმელთან. ავიღოთ მაგალითი უკრაინის სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ პრაგმატიკოსი პრეზიდენტისგან, რომელიც ცდილობს, დროებით დაივიწყოს უკმაყოფილება და გადადგას ნაბიჯები, რაც თავის ერს და ქვეყანას სიკეთეს მოუტანს. ალბათ საჭირო, ცოტა ხნით ჩვენც გავხდეთ სუბიექტურები, იდეალისტები და სინამდვილედ ვაღიაროთ ის, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, შემდეგ კი განვაგრძოთ ცხოვრება იმის კვალდაკვალ, რასაც ჭეშმარიტება გვიკარნახებს.

ჩვენ არ უნდა შევუშალოთ ხელი ს. ლავროვის ჩამოსვლას, ჩამოვიდეს, თვალებს ნუ დავუკოცნით და ხელზე ნუ ვემთხვევით, ნურც პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელზე დავსვამთ, ზრდილობიანად გამოვხატოთ ჩვენი უკმაყოფილება, გავაკეთოთ მწვავე, ყველა ქვეყნის წარმომადგენელთათვის გასაგები და მისაღები განცხადებები, დავასაბუთოთ ჩვენი პრეტენზიები და მოვითხოვოთ რუსეთისგან, შეასრულოს მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებები.

კაცმა რომ თქვას, სერგეი ლავროვთან (იგივე სერგო ქალანთაროვთან) ჩვენ საკუთარი ანგარიშებიც გვაქვს და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვათ. სერგო თბილისშია დაბადებული, სოლოლაკში, ჩაიკოვსკისა და იაშვილის ქუჩების კუთხეში ცხოვრობდა, მისი ბაბუა თბილისის საკრებულოს წევრი იყო, მამას თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუმთავრებია და ინჟინრის პროფესია მიუღია. სერგო თავის თბილისელობასაც არ მალავს, დარწმუნებული ვარ, რაღაც კეთილი გრძნობაც გააჩნია ამ ქალაქისადმი. მოვიხელთოთ ოფიციალურ შეხვედრაზე, ბანკეტზე თუ კულუარებში და კაცურად ველაპარაკოთ, ცოტაც დავანამუსოთ... ამას დიდი შედეგი ალბათ არ მოჰყვება, მაგრამ ჩვენს დედაქალაქში დაბადებულს და ფესვებით კავშირში მყოფს ოდნავ მაინც ხომ გავუღვიძებთ უკანონობის გრძნობას, რომელსაც მისი სახელმწიფო სჩადის და რომლის შესახებ თავადაც კარგად უწყის.



მტრობაზე მტრობითვე პასუხით სიკეთე არავისთვის მოუტანია. მშვენიერი ჩაგონება გვაქვს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.“

რამაზ სურმანიძე,
ბათუმი.

აქციები ესპანეთის ერთიანობისთვის

ასობით ათასმა ესპანელმა საპროტესტო აქცია გაიმართა და ხელისუფლებისგან ქვეყნის ერთიანობის, დემოკრატიული სახელმწიფოს კანონისა და ნორმების შენარჩუნება მოითხოვა. მსვლელობებსა და მიტინგებს ორგანიზება სამოქალაქო პლატფორმამ „ესპანეთი არსებობს“ გაუწია და ისინი ესპანეთის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა.

პროტესტისა და მანიფესტაციების მიზეზი ხელახლა ჩამოყალიბებული კოალიციური მთავრობის გეგმები გახდა, მასში შევლენ ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლები, კომუნისტები და ულტრამემარცხენე პოპულისტები პარტია „პოდემოსიდან“ („ჩვენ შეგვიძლია“).

ყველაზე დიდი აქცია მადრიდში გაიმართა და მომიტინგეების განსაკუთრებული შეშფოთება ახალ პრემიერს პედრო სანჩესსა და კატალონიელ სეპარატისტებს შორის მოლაპარაკებებს უკავშირდება — 7 იანვარს სანჩესის კანდიდატურაზე მხარდაჭერის სანაცვლოდ, მათ მოლაპარაკებებს და ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენასთან დაკავშირებით კატალონიელების გამოკითხვას დაჰპირდნენ.

ესპანეთის პარლამენტმა პედრო სანჩესი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მეორე მოსმენით 7 იანვარს დაამტკიცა. ქვეყნის მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს ხმა 167-მა დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგი კი 165 კანონმდებელი იყო. სანჩესმა ახლა მთავრობა უნდა ჩამოაყალიბოს. ეს ესპანეთის პირველი კოალიციური მთავრობა იქნება, 1978 წელს დემოკრატიის აღდგენის შემდეგ.

აშშ ერაყს დაემუქრა

აშშ ერაყს ნავთობის გაყიდვიდან მიღებულ ფულზე წვდომის შეზღუდვით დაემუქრა.. აშშ-მა გააფრთხილა ერაყის ხელისუფლება, რომ ისინი ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში არსებულ ანგარიშზე წვდომას დაკარგავენ, თუ ამერიკული ჯარი ერაყს დატოვებს. შესაბამისი გაფრთხილება პირადად ერაყის პრემიერ-მინისტრს ადელ აბდელ მაჰდის გადაეცა.

5 იანვარს ერაყის პარლამენტმა ქვეყნიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანას დაუჭირა მხარი, ირანმა კი გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც ბაღდადში აშშ-ის ძალებმა ირანელი გენერალი ყასემ სულეიმანი მოკლეს.

ბრიტანული ოფშორები რუსების კაპიტალს გაასაჯაროებენ

2020 **წლიდან** ბრიტანეთის ზონებში განთავსებული რუსული კაპიტალის მოცულობა და მფლობელების ვინაობა საჯარო გახდება. 2019 წლის ბოლოს ბრიტანეთმა გაფრთხილების გარეშე, რუსეთის იმ ქვეყნების სიიდან ამოღება გადაწყვიტა, რომლებთანაც ინფორმაციის გაცვლა ავტომატურად ხდება. მოსკოვმა შემსვედრი ნაბიჯი გადადგა და ბრიტანეთს ანალოგიური ინფორმაციის მიწოდება შეუწყვიტა.

რუსეთის ფედერალურ საგადასახადო სამსახურში აცხადებენ, რომ ბრიტანეთის ოფშორები 2020 წელს რუსეთს ფინანსურ ინფორმაციას მიაწვდის, მაშინ თავის მხრივ მოსკოვიც ავტომატური გადაცვლის შესახებ ინფორმაციას გადაუგზავნის.

ბრიტანეთის ოფშორების ინფორმაცია რუსეთისთვის მნიშვნელოვანია გადასახადების დამალვის აღკვეთის და სუსტი სავალუტო კონტროლის პირობებში. რუსეთში 2020 წლის 1 იანვრიდან ვალუტის გადარიცხვაზე მოთხოვნები შეარბილეს. კერძოდ, რუსები არარეზიდენტებისგან მიღებულ ფულს უცხოეთის ბანკებში ავტომატურად გადარიცხავენ.

ამირან სალუქვაძე:

ტრამპმა სილა გაუტარა, მეორე ლოყა არ მიუშვერია

ბრიგადის გენერალი და სამხედრო ექსპერტი ამირან სალუქვაძე, აშშ-ის საჰაერო იერიშის დროს მოკლული ირანელი გენერლის შესახებ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, სადაც აღნიშნავს, რომ ირან-აშშ-ს შორის ურთიერთობა კიდევ დაიძაბება და მომავალში ომს ვერავინ გამორიცხავს, მაგრამ ამ ეტაპზე, ტრამპმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ე.წ. სილა გაუტარა, მას მეორე ლოყა არ მიუშვერია.

რაც შეეხება აქ ომის მსურველებს და პანიკის მთესველებს, ამირან სალუქვაძის თქმით, ეს საუბრის კიდევ ცალკე თემაა და მოსახლეობის შეგნებულად დათრგუნვის მიზნით კეთდება.

როგორც ქართველი სამხედრო ექსპერტი წერს, ახლო აღმოსავლეთში პროირანული შეიარაღებული დაჯგუფებების მართვა და დაფინანსება სწორედ ლიკვიდირებული სოლეიმანის სახელს უკავშირდება. მას არ ჰქონდა არც სამხედრო და არც უმაღლესი განათლება. ხალხში ეძახდნენ სარდარ სოლეიმანს. თავი გამოიჩინა ირან-ერაყის ომის დროს. ელიტურ დანაყოფ „ელ-კუდს“ ხელმძღვანელობდა 1998 წლიდან. იყო აიათოლასთან დაახლოებული პირი და ერთადერთი, ვინც ალი ხამენეის საჯაროდ არ აქებდა. მის სახელს უკავშირებენ 2015 წელს, რუსეთის ჩართვას სირიის ომში. მას კრემლში პუტინთან 140 წუთიანი პირისპირ საუბარი ჰქონდა. როგორც ღია წყაროებში წერენ კონტაქტები ამერიკელ სამხედროებთანაც ჰქონდა.

ამირან სალუქვაძე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სოლეიმანის სიკვდილი ირანშიც აწყობდათ, იმის მიუხედავად, რომ ყველა მეტ-ნაკლებად წარმატებულ ადამიანს ჰყავს მტერი.

„ვერც იმათ, განსაკუთრებით რუსეთის და მისი მომხრეების კვნესას გავიზიარებ, რომლებიც საუბრობენ როგორ შეიძლებოდა სახელმწიფოს ოფიციალური პირის მკვლელობაო. არ შეიძლებოდა, უბრალოდ, მათგან არ ვიღებ და შევახსენებ 1979 წელს „კგბ“-ს სპეცოპერაციას, კერძოდ, ავღანეთში შეჭრას, პრეზიდენტის სასახლის შტურმს და ამინის მკვლელობას.

მთავარი პრეტენზიები ფოტოზეა ასახული. ასევე, როგორც 3 იანვარს დაშემდგომში ვისაუბრე, გართულებული ვითარება ერაყში, დეკემბრის ბოლოს შეტევები აშშ-ის ბაზასა და საელჩოზე.

საკვირველია ის, რომ საქართველოში აშშ-ირანის ომს მომხრეები ჰყავდა, მ.შ.მედიების სახით და ტრამპს აკრიტიკებენ (აქილიკებენ) დათმობის გამო.

რატომღაც სოლეიმანის სიკვდილი და გასროლილი 15 რაკეტა ტოლფასი ჰგონიათ. ამ დროს სხვა ქვეყნების მაგალითები უნდა მოიყვანოთ და მიხვდებით, ტოლფასია თუარა: აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რომ მოეკლათ, ან შოიგუ რომ გაენადგურებინათ,აშშ და რუსეთი 15 რაკეტის უმსხვერპლო გასროლით შემოიფარგლებოდნენ და ეს ტოლფასი იქნებოდა?

ირან-აშშ-ს შორის ურთიერთობა კიდევ დაიძაბება და მომავალში ომს ვერავინ გამორიცხავს, მაგრამ ამ ეტაპზე, ტრამპმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ე.წ.სილა გაუტარა. მას მეორე ლოყა არ მიუშვერია.

რაც შეეხება აქ ომის მსურველებს და პანიკის მთესველებს, ეს კიდევ ცალკე თემაა და მოსახლეობის შეგნებულად დაზაფრვის, დათრგუნვის მიზნით კეთდება. გახსოვთ, რამდენჯერ დავწერე ამ წლებში, რომ მოსახლეობა საინფორმაციო ტერორის ქვეშაა?!

როცა ომის საშიშროების პანიკა ითესება, გარდა ფსიქოლოგიური დათრგუნვისა, პირდაპირ ურტყამს ეკონომიკას და ეკონომიკური აქტივობის შენელებას იწვევს.ამიტომ ვეწინააღმდეგები ჩემს ხელთ არსებული რესურსებით და ვცდილობ სიმშვიდის შემოტანას. ამ დროს პირველ დღეებს აქვს მნიშვნელობა. მერე ადამიანები ეჩვევიან და განაგრძობენ ჩვეულ ცხოვრებას.

პანიკის დროს გლეხი მიწას არ მოხნავს, ამისთვის გადადებულ ფულს შავი დღისთვის შეინახავს. პანიკა კარგი რომ იყოს, მეც შემოგიერთდებოდით.

ამ ნიუანსებზე ამ დღეებში ბევრთან მქონდა საუბარი, მათ შორის ჟურნალისტებთან და, აქ თუ არა, გულში დამიდასტურებენ“, — წერს ამირან სალუქვაძე.

გაზის მომხარებელთა საყურადღებოდ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ” ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების” შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებელი სარჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2020 წლისთვის

ცხრილი №1

#	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ.ნომერი მობ. ნომერი ელ.ფოსტა	საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ)	მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
	შპს "ტაბა"	ქ თბილისი მთაწმინდის რაიონი ტაბახმელა დიდგორის ქ# 1	0790100404	საყოფაცხოვრებო: 1,603,557 არასაყოფაცხოვრებო: 52,174	საყოფაცხოვრებო: 31,25 არასაყოფაცხოვრებო: 85,2

* - თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვა და სხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულება შედის, მხოლოდ ბუნებრივი გაზის ფასი და ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი).

ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19, +995 032 2 42 01 80

რა გველოდება 2020 წელს –

არაპროგნოზირებადი მოვლენები, ფინანსები, კარიერა და სიყვარული

2020 წელს თეთრი ლითონის ვირთხის წელი 25 იანვარს დაიწყება. ვირთხის წელს გონიერება და ეშმაკობა ახასიათებს. ეს თვისებებიც ალბათ მნიშვნელოვანი იქნება ადამიანებისთვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას.

ასტროლოგების რჩევაა, რომ 2020 წელს, რაც შეიძლება მეტი დრო დავუთმოთ საკუთარ თავს, ოჯახს, ურთიერთობების მოგვარებას კოლეგებთან, საკუთარ ჯანმრთელობას. არ უნდა დაივიწყოთ თვითგანვითარებაზე ზრუნვა – იკითხეთ ბევრი, უყურეთ საინტერესო გადაცემებს და ურთიერთობები გქონდეთ ჭკვიან, მოაზროვნე ადამიანებთან. 2020 წლის აღმოსავლური კალენდარი გლობალური გეგმების დაწყობას არ გირჩევთ – ადრე დაწყებული საქმეების დასრულება სჯობს.

ფინანსები და სამუშაო ვირთხის წელიწადში

2020 წელს ხელსაყრელი დროა ფიზიკური მუშაობისთვის. ვინც ინტელექტუალური მუშაობით არის დაკავებული, ექსპერტები ურჩევენ, გამოიჩინონ მეტი გამჭრიახობა, მოხერხებულობა და არავის უამბონ საკუთარი გეგმების შესახებ.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნაკიან წელიწადში არაპროგნოზირებადი მოვლენები შეიძლება მოხდეს. სწორედ ასეთ პერიოდებშია საჭირო ინიციატივის საკუთარ ხელში აღება. ზოგიერთ ცხოვრებისეულ ვითარებაში მოგვიწევს სიმამაცისა და ლიდერის თვისებების გამოვლენა. ვირთხა ადამიანებს ეგოიზმისკენ უბიძგებს, ამიტომ აუცილებელია ამ გრძნობასთან ბრძოლა და ადამიანების დახმარება.

2020 წელი იდეალურია ძვირადღირებული რამის შესაძენად, მაგრამ ეს ადრევე უნდა დაგეგმოთ. ასეთ საკითხებში სიფრთხილე ზედმეტი ნამდვილად არ იქნება.

სიყვარული და ურთიერთობები 2020 წელს

ვირთხა სიყვარულისა და ყურადღების სიმბოლოა. პრობლემა ისაა, რომ ასეთ პერიოდებში ყურადღება ხანდახან უპასუხოდ რჩება. ზოგიერთი ადამიანი ვერ ამჩნევს სიკეთეს, არ აქცევს ყურადღებას გარშემომყოფების სიმპათიას. ახალი ნაცნობობა 2020 წელს გართულებული იქნება. ადამიანს პირდაპირ მოუწევს თავისი სიმპათიის შესახებ საუბარი, რადგან მინიშნებები, დიდი ალბათობით, არ გაჭრის.

ახალი ურთიერთობები ვირთხის წელიწადში მხოლოდ ნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამ თილისმას არ უყვარს, როდესაც ადამიანები ერთმანეთს რაღაცას უმალავენ. ძალზე პატიოსანი უნდა იყოს ურთიერთობები, რომ ახლადგამომცხვარი სიყვარული ბედნიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

მათ, ვისაც ჰყავს პარტნიორი, სასურველია, არ დაავიწყდეთ საყვარელი ადამიანისთვის სასიამოვნო სიურპრიზების მოწყობა. არ არის აუცილებელი, რომ ეს მატერიალური ნივთების ჩუქება იყოს: შესანიშნავი იქნება დაუგეგმავი რომანტიკული ვახშამი, ერთობლივი სასიამოვნო საქმიანობა, შეხვედრა ახლობლებთან და სხვა. ახალი მეგობრის შეხვედრა ვირთხის წელიწადში ძალზე რთული აღმოჩნდება. ნაკიანმა წელიწადმა, შესაძლოა, მეგობრის ნიღაბს ამოფარებული არაკეთილმოსურნეები მოგიგზავნოთ. უნდა იყოთ ძალზე ფრთხილი და არ ენდოთ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებს. ლითონის სტიქია ადამიანებს უფრო გულცივსა და ნაკლებად კომუნიკაბელურს გახდის, ამიტომ ურთიერთობები ასეთ პერიოდებში ძალზე ნელა ეწყობა.

განწყობა და ჯანმრთელობა 2020 წელს

განწყობა ენერგეტიკული დისონანსის გამო მუდმივად შეიცვლება. ვირთხა ოპტიმისტია, მაგრამ ნაკიან წელიწადს და თან ლითონის სტიქიის გავლენით, სიმშვიდის ლოდინი არ ღირს. თეთრი და შავი პერიოდები მუდმივად შეცვლის ერთმანეთს, ოპტიმიზმი ხან გამოჩნდება და ხან გაქრება.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, ამ თვალსაზრისით 2020 წელმა ყველას სიხარული უნდა მოუტანოს. ექსპერტების რჩევაა, იყოთ აქტიური, დაკავდეთ სპორტით, გამოხვიდეთ კომფორტის ზონიდან. ეს გააუმჯობესებს განწყობასა და ზოგად მდგომარეობას.

◎ ტრადიციები

ახალ წელს, როცა საათი თორმეტჯერ ჩამორეკს, საბერძნეთში სადღესასწაულო ნამცხვარს – ვასილოპიტას ჭრიან.

ოქროვანი ვასილოპიტა

ოჯახის უფროსი მოკლე ლოცვას კითხულობს, ნამცხვარს ჯვარს გადასახავს, მერე კი თითო ნაჭერს ყველას ახვედრებს. ნამცხვრის პირველი ნაჭერი იესო ქრისტესა და ღვთისმშობელი მარიამის სადიდებლად იჭრება, მეორე – მშობლიური კერის პატივსაცემაედ, მესამე – თავად ოჯახის ბურჯს ერგება, მომდევნო ვასილოპიტები კი უფროსობისდა მიხედვით ნაწილდება. როცა ოჯახი დიდია და სადღესასწაულო სუფრასთან ყველანი ვერ იყრებიან, თითოეული მათგანის სახელზე ცალკე ნაჭერი მაცივარში ინახება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა. ვასილოპიტების ცალკე ნაჭრები ეკუთვნით მგზავრებს. სადღესასწაულო სუფრა მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ყველა დამსწრე თავის ნაჭერ ვასილოპიტს მიირთმევს.

ლოცვა, რომელსაც ვასილოპიტის განაწილებამდე წარმოთქვამენ, შემთხვევითი არ არის: 1 იანვარს მართლმადიდებელი ბერძნები ვასილი დიდის, კაპადოკიის კესარიის (ამჟამად ის თურქეთის ქალაქი კესარიაა) ეპისკოპოსის დღეს აღნიშნავენ. „ვასილოპიტაც“ სწორედ ამ წმინდანის სახელს ატარებს – ბერძნულად იგი „ვაესილის ნამცხვარს“ ნიშნავს.

ლეგენდების თანახმად, ერთ დღეს კაპადოკიის ეპარქმა, რომის პროვინციის მმართველმა, რომელშიც კესარია შედიოდა, ქალაქის მცხოვრებთ დიდძალი ფული მოსთხოვა, გადაუხდელობის შემთხვევაში კი საშინელი სასჯელით დაემუქრა. იმ ხანებში კი (378 წლამდე) რომს იმპერატორი ვალენტი მართავდა, რომელიც მხარს უჭერდა **არიანულ სარწმუნოებას,** რომელიც არ ცნობდა ქრისტეს ღვთიურ წარმოშობას. კესარიის მცხოვრებნი კი **ნიკეურ** სარწმუნოებას მისდევდნენ, რისთვისაც, ხელისუფლების აზრით, უნდა დასჯილიყვნენ კიდეც. ვასილმა მოქალაქეებს ვისაც რა შეეძლო, იმის შეგროვება და ღვთის ნების მინდობა ურჩია. როცა ეპარქმა ფულს მოაკითხა, ვიდრე გადასახადს მიიღებდა, ვასილმა მას მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვა: „რისთვის სჯი მოქალაქეთ ხარკით?“ ამაზე პასუხის გაცემა მმართველმა ვერ შეძლო, ამიტომაც ფული არ აიღო. შეგროვილი ქონების უკან დაბრუნება კი ეპისკოპოსმა ორიგინალური ხერხით მოიფიქრა: მან პურების გამოცხობა და თითოში რაღაც ფასეულის ჩადება ბრძანა. რაღაც სასწაულით, ქალაქის ყველა მცხოვრებს თავის შეწერილი განძეული დაუბრუნდა. სხვა ლეგენდით, რათა ღატაკები უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო, ფული მათ ფარულად, მონეტების ტკბილ კვერებში ჩადებით დაუბრუნა. ნებისმიერ შემთხვევაში სწორედ მაშინ წარმოიშვა უბრალო ნამცხვარში – ვასილოპიტაში – ოქროს მონეტის ჩადების წესი. ის კი, ვისაც ეს მონეტა შეხვდება, მთელი წელი ბედნიერი იქნება.

საინტერესოა ისიც, რომ თუკი ბრიტანულ პუდინგში მონეტას დამზადებისას დებენ, ბერძნულ ვასილოპიტაში მას გამოცხობის შემდეგ მალავენ. ეს იმიტომ კეთდება, რომ მონეტა ფსკერზე არ დაეშვას ან ნამცხვრის დაჭრას ხელი არ შეუშალოს. იგი აუცილებლად ვერტიკალურად უნდა იდგეს და შეუმჩნეველი იყოს.

ხოლო მან, ვისაც ბედი გაუღიმებს და ოქროს ფული შეხვდება, მონეტა ქისაში უნდა შეინახოს და მოუფრთხილდეს, რათა სიმდიდრე და ბედნიერება მუდამ მისი ცხოვრების თანამგზავრები იყვნენ. თანაც, ცხადია, დიდი მადლობა ვასილ დიდს უნდა შესწიროს ასეთი გულუხვი საახალწლო საჩუქრისთვის.

დალი ხუნდაძე

"ოქრა ძვირფასეულობის" ფეიერვერკი

ჩინური კალენდრით ახალი, 2020 წელი დგება 25 იანვარს, თუმცა კი მისი მობრძანების აღმნიშვნელი ზეიმი ტრადიციულად ერთი კვირით ადრე იწყება.

საახალწლო ორომტრიალის სტარტი ბრინჯის ფაფის ზეიმით იწყება. ამ დღეს მიღებულია რამდენიმე მარცვლეულის ნაზავი ფაფის მირთმევა, რომელსაც „რვა ძვირფასეულობა“ ეწოდება. ისევე, როგორც ჩვენში საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია საცივის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბაჟეს გარეშე, ჩინეთში ახალი წლის განწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვიდრე კაცი ამ ფაფას არ დააგემოვნებს.

მთვარის კალენდრით ახალი წლისთვის მზადება რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტისგან შედგება. პირველი მათგანია **გენერალური დასუფთავება:** ქუჩებსა და სახლებს წმენდენ და რეცხავენ, რადგან ახალ წელს ყველაფერი გაწკრიალებულ-განახლებული უნდა შეხვდეს, მეორეა **მორთვა:** პარკებში, სკვერებსა და ქუჩებში ხეებსა და ბოძებზე წითელ ფარნებს ჰკიდებენ, რომლებიც ახალი წლის მთავარი სამშვენისია. ბინებსა და ოფისებში კედლებსა და ფანჯრებზე ქაღალდიდან ან მუყაოდან ლამაზად გამოჭრილ იეროგლიფებს აკრავენ, რომლებიც „ბედნიერებას“, „გაზაფხულს“, „სიყვარულს“ აღნიშნავენ. ასევე წლის სიმბოლოსა და თევზების ნახატებს ჰკიდებენ, ვინაიდან ისინი შეძლებულობას აღნიშნავენ (ჩინურად სიტყვები „თევზი“ და „სიმდიდრე“ მსგავსად ჟღერს).

ტრადიციულ ოჯახებსა და სოფლებში შემოსასვლელი კარის ორივე მხარეს საახალწლოსურვილებიან წყვილ წარწერას აკრავენ. ყველა საახალწლო სამშვენისი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, რადგან სწორედ წითელი აფრთხობს ავ სულებს და მოაქვს ბედნიერება. ზოგიერთნი სახლის შესასვლელში მანდარინის ჯუჯა ხეებს დგამენ, რომლებსაც „ოქროს მანდარინებს“ უწოდებენ, რადგან სიმდიდრესა და კეთილდღეობას იზიდავენ, მათი პატარა ნაყოფები კი ოქროს მონეტებს ჰგავს. საერთოდაც, ყველაფერს, რაც ასე თუ ისე სიმდიდრესთან შეიძლება ასოცირდებოდეს, საახალწლო დიზაინში ჩინელები სიმბოლურად იყენებენ.

ჩინეთში საახალწლოდ დიდად პოპულარულია ახალი ნივთების შეძენა. ამასთან, ბევრნი რაც შეიძლება ადრე მშობლიურ მხარეში ჩასვლასა და ახალი წლის ნათესავთა წრეში შეხვედრას ცდილობენ. ამ დროს მშობლების მონახულება ლამის ყველაზე მთავარი ტრადიციაა.

ჩვენებური ახალი წლის დადგომამდე ინტერნეტშიც, ბეჭდურ მედიაშიც, მრავლადაა რჩევები, თუ რა ფერის სამოსელი უნდა ჩავიცვათ ამ დროს. თუმცა მსგავსი სახის რჩევებს თავად ჩინეთში არავინ იძლევა. ახალი წლის ღამეს ჩინელები დიდად არ იპრანჭებიან, პირველ დღეს კი, იმის მიუხედავად, თუ რომელი ფერის, სტიქიისა და ცხოველის ნიშნის წელი დადგა, ყველანი ცდილობენ ტანსაცმელში რაიმე წითელი ელემენტი გაურიონ – ეს იქნება კაბა, ფეხსაცმელი, პერანგი, საცვალი, წინდა თუ სხვა. ამ შემთხვევაში წითლის ნებისმიერი ელფერი გამოდგება – დაწყებული ბაცი ვარდისფერიდან მუქი ღვინისფრით დამთავრებული, თქვენ წარმოადგინეთ, ნარინჯისფერიც კი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი სამოსელში წითელი ელემენტის ქონა მათთვისაა, ვინც იმ ცხოველის წელსაა დაბადებული, რომელიც დამდგარის ნიშანია, რადგანაც ისინი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ. ავგაროზად მათ არა მარტო საახალწლოდ, არამედ მთელი წლის მანძილზე წელზე შემორტყმული წითელი სარტყელი, ქამარი ან წვრილი თოკი, ანდა მაჯაზე შებმული წითელი ძაფი უნდა ატარონ. ამ წესს ბევრი ჩინელი იცავს. ასევე აუცილებელია ახალი წლის პირველ დღეს ახალი სამოსელის ჩაცმა.

ნინო ალექსანდრია

◎ მეგობრეებთან

„დინამოს“ მეორე

თბილისის „დინამომ“ ბერლინის ლეგენდათა ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ფინალში გავიდა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელ „ჰერტასთან“ ვერაფერი გაახერხა და მარცხი განიცადა — 2:5.

ფინალამდე „დინამომ“ ჯგუფურ ეტაპზე „ლევერკუზენი“ 4:2 და „შალკე“ 6:3 დაამარცხა, ხოლო „დორტმუნდთან“ 2:3 წააგო. შედეგად, 6 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში ბრემენის „ვერდერთან“ მოსინჯა ძალები.

„მუსიკოსებთან“ თბილისურმა კლუბმა შესანიშნავად ითამაშა და მეტოქეს 5:2 აჯობა. ამ შეხვედრაში კახა კალაძე ჰეთთრიქით, ალექსანდრე იაშვილი კი დუბლით გამოირჩა.

აღნიშნულ ტურნირზე „დინამოს“ რიგებში ყველაზე მეტი, რვა გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა, ექვსჯერ გამოიჩინა თავი კახა კალაძემ, ორჯერ — ოთარ მარცვალაძემ, ხოლო თითოჯერ — ლევან ცქიტიშვილმა, დავით კვირკველიამ და ლაშა სალუქვაძემ.

ბოლოს გეტყვით, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ალექსანდრე იაშვილმა მიიღო, რომელიც 8 გოლით საუკეთესო ბომბარდირის ჯილდოსაც დაეუფლა, გიორგი ლომაია კი რომან ვაიდენფელერთან ერთად საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

გიორგი შოთაძე

◎ ლოზანა 2020

ისტორიული შედეგი

ახალგაზრდულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ ციგურაობაში ისტორიული მედალი მოიპოვეს ალინა ბუტაევამ და ლუკა ბერულავამ.

ქართული წყვილი პირველივე დღიდან ლიდერთა სამეულში იმყოფებოდა და საბოლოოდ ასპარეზობა ბრინჯაოს ჯილდოთი დასრულა.

ფორუმის სტარტზე ჩვენებურებმა მოკლე პროგრამა შეასრულეს (59.14 ქულა) და მეორე ადგილზე გასულ რუსეთის წარმომადგენლებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ.

ბეჭან დოლიძე

◎ ფარიკაობა

სანდროს ბრინჯაო

მონრეალის გრან პრიზე ხმლით ფარიკაობაში სანდრო ბაზაძემ ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხა. ქართველი მუშკეტერი კანადაში შესანიშნავად გამოვიდა და ზედიზედ ოთხი გამარჯვებით ნახევარფინალში გასვლა შეძლო.

„ჯვაროსანმა“ თავდაპირველად მიხეილ მარდალეიშვილი 15:5 დაამარცხა, რასაც თურქეთის წარმომადგენელ ენვერ ილდირიმთან 15:11 მოგება მოჰყვა. მერვედფინალში სანდრომ უნგრელ შანად გემეშს დაძაბულ ბრძოლაში, 15:13 სძლია და მეოთხედფინალში მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეს, სამხრეთკორეელ სანგუკ ოჰისტანს 15:14 აჯობა.

უძლიერესთა კვარტეტში მოხვედრა ბაზაძისთვის მაქსიმუმი გამოდგა, რადგან ნახევარფინალში იტალიელ ლუკა კურატოლისთან წააგო და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგენდა

ნონა ჩვენი ქვეყნის სიამაყეა!

ნონა გაფრინდაშვილი ფართო დიაპაზონის შემოქმედებითი შესაძლებლობების მოჭადრაკეა (მაქს ეივე)

ნონა გაფრინდაშვილი — სავსებით სამართლიანია ქართველი ხალხი, როდესაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს (1962-78) ისევე მოიხსენიებს გვარის გარეშე, როგორც ერის განსაკუთრებით საამაყო შვილებს.

ჩვენი ნონა გახლავთ პირველი ქალი, რომელსაც ფიდემ დიდოსტატის წოდება მიანიჭა ვაუებს შორის (1978). იგი პირველი ლაურეატია „ოსკარის“ საჭადრაკო პრიზისა ქალთა შორის (1982).

ჭადრაკის თამაში 5 წლის ასაკიდან დაიწყო, რაშიც დიდი ამაგი მიუძღვით მის ძმებს, ხოლო თბილისის მოსწავლეახალგაზრდობის სასახლეში იგი ოსტატობას გამოჩენილი მწვრთნელისა და მოქალაქის ვახტანგ ქარსელაძის ხელმძღვანელობით (1919-1966) იმაღლებდა. სწორედ ნონას წარმატებებმა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე მსოფლიოს ასპარეზზე უბიძგა ნიჭიერ ქართველ გოგონებს საჭადრაკო ხელოვნების სრულყოფისაკენ. მის გარშემო შეიქმნა ქართველ გოგონათა ბრწყინვალე თანავარსკვლავედი.

1962 წელს ნონამ დიდი ანგარიშით მოუგო მატჩი ელისაბედ ბიკოვას (9:2) და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მოსკოველ ალა კუშნირთან მან სამგზის დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — 8,5:4,5 (1965), 8,5:4,5 (1969) და 8,5:7,5 (1972), 1975 წელს კი ნონამ 8,5:3,5 მოუგო ნანა ალექსანდრიას.

1978 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი საქართველოს შინაურ საქმედ იქცა. ნონამ დედოფლის გვირგვინი მაია ჩიბურდანიძეს გადაუოცა და მისგან დალოცვილმაც ასევე ხუთგზის იდედოფლა.

ჩვენთვის წარუშლელია ის სიხარული, რომელიც ნონამ 1962 წელს მოგვიტანა. მოსკოვი-თბილისის მატარებლის შემადგენლობას საქართველოში ყოველ სადგურზე დაფნის გვირგვინით ხვდებოდნენ თაყვანისმცემლები და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით ამკობდნენ მსოფლიოს პირველ ქართველ ჩემპიონს. ეს იყო დღესასწაული, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენი ხალხის მეხსიერებაში.

ამასთან დაკავშირებით ძალზე ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: ოჯახში შესულ ნონას მამამ ასეთი სიტყვებით მიმართა — აბა, შენ იცი, ახლა, როგორ მოიქცევი. ნონას მიუკერძოებელი ჭეშმარიტება მისი ცხოვრების წესი გახლავთ. ნონას დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს მისი შეხვედრა ალა კუშნირთან ისრაელში გამგზავრების წინ (1973), როცა ყოფილ მეტოქეს სპეციალურად ეწვია და პატივი მიაგო. ამას წინათ ზუგდიდში გაიხსნა განახლებული საჭადრაკო სკოლა. ნონა დარწმუნებულია, რომ ის ტრადიციები, რაც ამ კუთხეს აქვს, გაგრძელდება.

მხცოვანმა ჟურნალისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ალექსანდრე შენგელიამ იმ დღეებში, როდესაც ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა თავისი დაფნის გვირგვინი ახალგაზრდა თანამემამულეს მაია ჩიბურდან:იძეს გადაულოცა, ასეთი ლექსით მიმართა მას:

იბრწყინოს, იალმასოს

...ურჩევნია მამულსა,
შვილი სჯობდეს მამასა,
შვილი სჯობდეს დედასა და
ცეცხლად წამომნთებმა,
საქართველოს ბეჭედში
იბრწყინოს, იალმასოს
ხან ნონამ, ხან მაიამ
ბრილიანტის თვლებმა!
ბრძოლა კვლავ გახურდება,
ბრძოლაში კვლავ დაცხება
და არასდროს დაცხრება
გვირგვინისთვის ბრძოლა,
შენი არდამარცხების,
შვილთა არდამარცხების,
ქვეყნის არდამარცხების,
ღვთაებრივო ნონა!

შარშან თბილისის №62 საშუალო სკოლაში, იქ, სადაც ნონა სწავლობდა, გაიმართა საიუბილეო შეხვედრა. ღმერთმა ინებოს ნონას დიდხანს სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები.

1961 წელს ნ. გაფრინდაშვილმა პრეტენდენტთა ტურნირი მოიგო და მსოფლიო პირველობის მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა.

ლაზარევიჩი (თეთრები) — **გაფრინდაშვილი** (შავები)
1961



1...♕e3 2.♗b8 ♖c2+ 3.♔h3 ♔g7 4.♗a7+ ♔h6 5.♗a3 ♔h5 6.♕e1 ♗f2 7.♗d3 ♗a6 8.♗d1 ♔f3 9.♕e3 ♗f1+, 0:1

შენიშვნა: ორმხრივ მწვავე შეტევაში ნონამ ყველა კომპონენტში სძლია მეტოქეს და დააშამათა იგი.

თამაზ შენგელია

მიმართვიანობა ისევ მაღალია

ვირუსული ინფექციების დიაგნოზით კლინიკებში მიმართვიანობა ისევ მაღალია. ამ დროისთვის მხოლოდ იაშვილის კლინიკაში გრიპის დიაგნოზით 68 ადამიანი მკურნალობს. მედიკოსების თქმით, პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია.

გრიპის ვირუსის გამო სკოლებში, ბაღებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში სწავლის გადადების საჭიროება არ არსებობს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, რომ ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც საბჭო გადაწყვეტილებას იღებს, უნდა შეჩერდეს თუ არა სასწავლო პროცესი, მკვეთრად დაბალია.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში ამბობენ, რომ მიმართვიანობა და ჰოსპიტალიზება, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბევრად ნაკლებია. სპეციალისტების თქმით, გრიპის ეპიდემიის საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს. ამიტომ დაავადებათა კონტროლის ცენტრმა რეკომენდაცია გასცა, რომ სკოლებსა და ბაღებში სწავლა არ გადაიდოს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის ამირან გამყრელიძის განცხადებით **„ქვეყანაში საკმარისია ანტივირუსული პრეპარატ**

ტამიფლუს მარაგი. ისინი გაიცემა საავადმყოფოებში, სრულიად უფასოა და საავადმყოფოებს ამისი სერიოზული მარაგი აქვთ. ასევე ტამიფლუ გაიცემა მინისტრის 30 დეკემბრის ბრძანებით ადამიანების ორ კატეგორია ჯგუფებზე — ესენია ორსულები და სოციალურად დაუცველები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საშუალებით ექიმის დანიშნულების მიხედვით. ამ დროისთვის, დაახლოებით 200-მდე ადამიანზეა გაცემული და მათ შორის ჭარბობენ ორსულები.

წარმოებს მუდმივი მონიტორინგი, თუ რა ტიპის ვირუსები ცირკულირებენ ქვეყანაში. გასულ კვირაში პრევალირებს B ტიპის გრიპის ვირუსი. დაახლოებით 76%-ში გვაქვს B ტიპის გრიპი. დაახლოებით 6%-ში გვაქვს A ტიპის გრიპის H1 ქვეტიპი“.

გრიპიანი ბავშვები ბაღებში არ დაიშვებიან

გრიპის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, თბილისის საბავშვო ბაღებში საინფორმაციო კამპანია იწყება.

მშობლებს საინფორმაციო ფურცლები დაურიგდებათ, რომლებზეც დატანებული იქნება ინფორმაცია გრიპის გავრცელების გზებისა და მისი პრევენციის შესახებ.

საინფორმაციო კამპანია 15 იანვარს დაიწყება.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის კახა გვანცელაძის ინფორმაციით, საინფორმაციო ფურცლები უკვე მზად არის და ისინი მშობლებს ერთი კვირის განმავლობაში დაურიგდებათ.

მისივე ინფორმაციით, ბაღის შენობაში იმუშავებს ჯანდაცვის კოორდინატორიც, რომელიც გრიპთან დაკავშირებული საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის ზომების შესახებ მშობლებს დამატებით ინფორმაციას მიაწვდის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ბავშვს ვირუსის სიმპტომები გამოუვლინდება, ბაღში არ დაიშვება.

ბაღში ყოფნის დროს სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში კი აღმზრდელი, ჯანდაცვის კოორდინატორთან კონსულტაციის საფუძველზე, მშობელს დაუკავშირდება და ბავშვის დაწესებულებიდან გაყვანას მოსთხოვს.

კახა გვანცელაძის განცხადებით, საბავშვო ბაღების აღმზრდელთა უმრავლესობას გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო აცრა ჩატარებული აქვს.

აჭარის მაღალმთიან სოფლებში თოვლი 1 მეტრს აღწევს!

აჭარის მაღალმთიან სოფლებში თოვლმა პრობლემები შექმნა. შუახევსა და მაღალი ზონის სოფლებში თოვლის საფარი ერთ მეტრს აღწევს. შუახევის მერიის ინფორმაციით, ძლიერმა ნალექმა და თოვლმა სოფლებში ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა. მერიის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 20%-ს ელექტროენერგია არ მიეწოდება. ამის შესახებ ინფორმაციას „აჭარის ტელევიზია“ ავრცელებს.

სოფლებში ამ დროისთვის თოვლის საფარი ერთ მეტრს აღწევს, შუა ზონაში 50 სმ-ს, ხოლო დაბაში ათ სანტიმეტრამდეა. თოვლის საფარისგან გაწმენდილია ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის შუახევის მონაკვეთი. დიდთოვლობისა და უხვი ნალექის გამო გართულებულია საავტომობილო გადაადგილება ხულოში. საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის ინფორმაციით, კურორტ გოდერძის მიმართულებით მიმავალ უცხოელ ტურისტთა ჯგუფის სატრანსპორტო საშუალება გზაზე გაჩერდა, ტურისტებმა მანქანა დატოვეს და ჯგუფი დანიშნულების ადგილას მაშველებმა გადაიყვანეს.

ხსოვნა

ზაურ ცომაია

ძნელია, როცა ახლობელ ადამიანზე წარსულში მიწევს საუბარი. ძალიან ვწუხვარ მისი გარდაცვალების გამო.

ზაურ ცომაია — ეს სახელი და გვარი ბევრის მთქმელია ყველა იმათთვის, ვისაც არა მარტო მეგობრობა, თუნდაც ნაცნობობა აკავშირებდა მასთან.

ჩვენს ნაცნობობას საფუძვლად დაედო აბაშის მაცხოვრისკარის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია. როცა აზრი დამებადა, ჩემს მშობლიურ სოფელში ეკლესია ამეშენებინა, რაიონის გამგებელს, აწ განსვენებულ სოსო ჭანტურიას მივმართე თხოვნით, მცოდნე მშენებელი ინჟინრის მოძიებაში დამხმარებოდა. ჩემი და ბატონი ზაურის პირველი შეხვედრაც გამგებელთან შედგა. ეკლესიის მშენებლობა დაახლოებით 17 წელი გაგრძელდა და ბატონი ზაური ეს 17 წელი, თითქმის უანგაროდ მედგა გვერდით. დასანანია მისი ასე მოულოდნელად გასვლა ამ საწუთროდან.

ბატონი ზაურის გარდაცვალებით ქალბატონმა ირამ დაკარგა შესანიშნავი მეუღლე, შვილებმა მზრუნველი მამა, მეგობრებმა,ნათესავებმა, მეზობლებმა ერთგული ადამიანი, რაიონმა კი ღირსეული შვილი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდა თავის მშობლიურ აბაშას.

მენანები ზაურ! ჩემო შეძენილო ძმაო, ეკლესიის მშენებლობისას გაწეული შრომის, ყოველი წუთისთვის უამრავი მადლი მიგეგოს.

გემშვიდობები დიდი გულისტკივილით. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა! უფალს ვთხოვ, სასუფეველში დაამკვიდროს შენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

ვუთანაგრძნობ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს.

ნანული (ნანა) გუნია
სტუ-ს პროფესორი,
ეკლესიის მშენებლობის ინიციატორი და ხელმძღვანელი.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე

დავით ნიორაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს
პანაშვიდი 14-15 I, 17 სთ.
მისამართი: ინგოროყვას ქ. № 12, III სართული
გამოსვენება - 16 I, 14 სთ. (ვაკის წმინდა სამების ეკლესიიდან)

უკანასკნელი სელფი

8 იანვარს თეირანის აეროპორტის სიახლოვეს, აფრენიდან რამდენიმე წუთში ჩამოვარდა „უკრაინის ავიახაზების“ კუთვნილი თვითმფრინავი, რომლის ბორტზე 167 მგზავრი და ეკიპაჟის 9 წევრი იმყოფებოდა, ყველა მათგანი დაიღუპა.

თვითმფრინავის აფრენამდე ეკიპაჟის წევრებმა ფოტო გადაიღეს, რომელიც ცოტა ხნის წინ გავრცელდა.

ირანმა განაცხადა, რომ ავიალაინერი შეცდომით ჩამოაგდო, პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ კი მომხდარი უპატიებელი ადამიანური შეცდომით ახსნა, თვითმფრინავის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობა ელიტურმა სამხედრო ქვედანაყოფმა, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა“ აიღო.

ევერესტზე ყინულის დნობა დაჩქარდა

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ჰიმალაებზე, კერძოდ კი ევერესტზე ბალახის საფარის ფართობი გაიზარდა და ზოგიერთ ზონაში თოვლის საფარი შემცირდა.

მეცნიერებმა ერთმანეთს 1993 წლისა და 2018 წლის მონაცემები შეადარეს, აღმოჩნდა, რომ ოთხ კონკრეტულ სიმაღლეზე ბალახისა და ბუჩქნარის საფარი 4150 მეტრიდან 6000-მდე გაიზარდა.

მეცნიერების შეფასებით, უფრო სერიოზული ცვლილებები 5000-5500 მეტრის სიმაღლეზე გამოიკვეთა. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ გლობალური დათბობის გავლენის შედეგად, ჰიმალაებზე მწვანე საფარის მოცულობა გაიზარდა.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ყინულის დნობის სიჩქარე 2000-2016 წლებში გაიზარდა. არამდგრადი თოვლის საფარის მოცულობა ევერესტზე გაიზარდა. გაჩნდა ადგილები, სადაც თოვლის საფარი მუდმივი აღარ არის. ახლა მეცნიერები წყლის რესურსებზე მცენარეული საფარის გავლენას იკვლევენ. სტატისტიკით, აზიაში ყველაზე დიდი ათი მდინარე ჰიმალაებზეა.

საახალწლო სოფელი დაიხურა

თითქმის **სამი კვირის განმავლობაში სოფელი ასეულობით ადამიანს სტუმრობდა. იმართებოდა საბავშვო აქტივობები, კონცერტები, ზღაპრის გმირების წარმოდგენები და ნაძვის ხის ხელნაკეთი აქსესუარების ვორქშოფები.**

წელს თბილისის საშობაო ბაზარმა გააერთიანა პროექტები „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“ და „თბილისური ბაზარი“. მოწყობილი იყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა, აგრო, ღვინისა და სამეწარმეო ბაზარი.

25 დეკემბრიდან ყოველ საღამოს ტარდებოდა ქართული ესტრადის ვარსკვლავებისა და მუსიკალური ბენდების კონცერტები, ასევე დიჯეების მუსიკალური წარმოდგენები.

საახალწლო სოფელი ქართული ესტრადის ვარსკვლავებისა და ბენდების გრანდიოზულმა შოუ-პროგრამამ დაასრულა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება არაბულად

ყატარში **საქართველოს საელჩოსა და კატარის სახელმწიფოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში, დოჰას საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის არაბულად ნათარგმნი ნაწარმოებების კრებულის წარდგინება გაიმართა.**

საქართველოს ელჩმა ყატარის სახელმწიფოში ნიკოლოზ რევაზიშვილმა და მწერლის შვილმა ქეთევან დუმბაძემ წიგნის გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის საზეიმო ვითარებაში გადასცეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სამადლობელი სიგელები პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყატარის კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა და ქართული ლიტერატურის შესახებ.

ნოდარ დუმბაძის არაბულენოვანი წიგნის კრებულში შესულია რვა მოთხრობა — **„ძაღლი“, „ნუ გააღვიძებ“, „უმადური“, „ჩიტი“, „დედა“, „კუკარაჩა“, „სისხლი“ და „კორიდა“**. წიგნის ყდის ილუსტრაციისთვის გამოყენებულია ელენე ახვლედიანის ნამუშევარი „ზამთარი თბილისში“. წიგნი გამოიცა საქართველოს საელჩოსა და ყატარის კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ ДОЛЕСАСЦАУЛИ ГРЗЕЛДЕБА

წმინდა ბასილი დიდი



14 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს ახალი წლის პირველ დღეს, იესო ქრისტეს წინადაცვეთას და ამ დღესაა ხსენება წმინდა ბასილი დიდისა.

ცნობილია, რომ წმინდა ბასილი დიდი კეთილმსახურებით გამორჩეულ ოჯახში დაიბადა. მისი ბებია, დედა, და და ძმა წმინდანთა დასში ირიცხებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც კი ბასილმა ათენის სკოლა დაამთავრა, მან მაშინვე გადაწყვიტა უდაბნოში ცხოვრება; უდაბნოშივე მოღვაწეობდა მისი მეგობარი გრიგოლ ღვთისმეტყველი. მასთან ერთად ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დაცვისთვის იბრძოდა, ის ზრუნავდა მღვდლების ერთგვარობასა და წესრიგზე. ბასილი დიდმა სამოციქულო ეკლესიაში ლიტურგიის წესი ჩამოაყალიბა, რომელიც ბასილი დიდის სახელითაა ცნობილი... ეს წირვა დიდმარხვის კვირაობით და ზოგიერთ სხვა დღეს ტარდება (წელიწადში — სულ ათჯერ). მის მიერვეა შედგენილი ლოცვა, რომელიც მუხლმოდრეკით სულთმოფენობის წირვის შემდეგ იკითხება.

14 იანვარს ეკლესიაში წმიდა ბასილი დიდის ლიტურგია აღესრულება. საყოველთაოდაა ცნობილი ბასილი დიდის თხზულებები.

საქართველოში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ბასილი დიდი; ამაზე მეტყველებს ის, რომ 14 იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილაკს, რომელსაც მოფერებით „ბასილის წვერს“ უწოდებენ. ამბობენ ბასილი წარმოშობით ქართველი ყოფილა. წლის ბედნიერად წარმართვისთვის ქართველები ბასილს ევედრებოდნენ.

გიული ლიპარტია

ბიეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია გაღარჩა

საქართველოს **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ეკლესია იყო უმძიმეს მდგომარეობაში. დანგრეული იყო კამარა, კონქი, კედლების დიდი ნაწილი. შემოცლილი იყო კარნიზი, კედლები შიგნიდან და გარედან დაფარული იყო ნანგრევებით. სამუშაოები ჩატარდა არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ.

პირველი ეტაპის სარესტავრაციო პროცესის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგად, ტაძრის ოთხივე ფასადებზე მოიხსნა მორყეული და კირდუღაბგამოცლილი ქვები, რის შემდეგაც გაიწმინდა და ხელახლა მოერგო; კირდუღაბზე ხსნარზე მოერგო მარკირებული თლილი ქვები, ასევე გაითალა ახალი ქვები და მოპირკეთდა ტაძრის ოთხივე ფასადი; მოეწყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი სარკმელი და კარნიზი; ტაძრის გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთი ბურჯზე მოიხსნა მორყეული და კირდუღაბგამოცლილი ქვები, რის შემდეგაც გაიწმინდა და ხელახლა მოერგო; ახლიდან იქნა გადაყვანილი თაღები, ხოლო შემორჩენილ თაღებზე მოიხსნა მორყეული ქვები, გაიწმინდა და ხელახლა მოერგო; აღდგა გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის კაპიტელი; აღდგა სამხრეთი სარკმლის წირთხლები, ახალი ქვით კირდუღაბზე; მოეწყო სამხრეთი მკლავის ცენტრალური კამარა, ახალი ქვით კირდუღაბზე; სადიაკვნეს თავზე აღდგა კედლის კამარა ქუსლამდე, ახალი ქვით კირდუღაბზე; აღდგა გუმბათქვეშა საბჯენი ბურჯი; ბიეთის ღვთისმშობლის სახელობის

ბიეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია XIV საუკუნის II ნახევრის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესიაა. იგი მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადის წინუბნის წყლის ხეობაში, სოფლების წინუბნისა და გურკელის გავლით და ამ უკანასკნელიდან დაახლოებით 2 კმ-ის მოშორებით. ეკლესიას ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სამლოცველო, რომელიც, წარწერის თანახმად, 1493 წელს აუგია ზაალ თოხასძეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8986; ევრო - 3.2154;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7856;
100 რუბლი - 4.7284; თურქული ლირა - 0.4932;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7070;
1000 სომხური დრამი - 6.0450.

ამინდი 14 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-11,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge